# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საერთაშორისო ურთიერთობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

## ნინო ბოლქვაძე


# საქართველოს საზღვრის დემარკირების საკითხი,

# როგორც სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობის მთავარი პრობლემა ისტორიული და მეთოდოლოგიური ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობის მაგისტრის
აკადემიურ ხარისხის მოსაპოვებლად


ხელმძღვანელი: თამარ კიკნაძე,

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

კსუ-ს ასოცირებული პროფესორი



თბილისი 2019

# ანოტაცია


საქართველომ - მსოფლიოს ერთ-ერთმა უძველესმა ქვეყანამ, სახელმწიფოებრიობრივი განვითარებისა და აღმშენებლობის ხანგრძლივი ისტორიული პროცესი გაიარა და დღევანდელ დღეს, დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენს. საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე მუდმივად უწევდა ტერიტორიული კუთვნილების დაცვა და საზღვრებზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

საზღვრების გადანაწილებისა და ტერიტორიული კუთვნილების საკითხი კომფლიქტურ სიტუაციას ქმნიდა და ხელს უშლიდა საქართველოსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობას. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა საზღვრების დემარკაცია-დელიმიტაცია. 1918 წლის მაისში სამხრეთ კავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები. ახლადფორმირებული სახელმწიფოს წინაშე, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიული გამიჯვნისა და სახელმწიფოებრივი საზღვრების შემოხაზვის საკითხი დაისვა, რადგან დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს არსებობის აუცილებელ ატრიბუტს ტერიტორიული მთლიანობა განსაზღვავს. საზღვრების სრული დემარკაცია ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოგვარებული, როცა 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წითელ არმიასთან ბრძოლაში დამარცხდა და თბილისში დამყარდა საბჭოთა წყობილება. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სტატუსი შეეცვალა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (სსსრ) გადაიქცა. საზღვრების განსაზღვრის საკითხი კი რუსეთის პრეროგატივა გახდა.

1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, დღემდე, საქართველო ებრძოდა და ებრძვის საზღვრების გადანაწილების პრობლემას.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 2148 კილომეტრიდან, მხოლოდ დაახლოებით 13%, ანუ 275 კილომეტრია დემარკირებული და დელიმიტირებული. საზღვრის დელიმიტაცია ხანგრძლივი და რთული პროცესი აღმოჩნდა სახელმწიფოსთვის, რადგან მასზე დამოკიდებულია სახელმწიფოთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობების მოგვარება და სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა.

# Annotation

## The issue of border demarcation of Georgia, Historical and methodological analysis of the main problem of political relations of states

Georgia - one of the oldest countries in the world passed a long historical process of state development and today is an independent sovereign state. In its history, Georgia has always maintained its territorial integrity and ensuring security and stability on its borders, due to its geopolitical location.

The issue of borders and territorial ownership created a peaceful situation and prevented diplomatic relations between Georgia and its neighbors. The problematic issue in the First World War was demarcation-delimitation of the borders. In May 1918, three independent states were established in the South Caucasus: Georgia, Azerbaijan and Armenia. Before the newly formed State, first of all, the issue of territorial separation and state boundaries was raised because the territorial integrity of the independent sovereign state was determined. The full demarcation of the borders had not yet been resolved, when in February 1921 the Democratic Republic of Georgia was defeated in the Red Army and established a Soviet system in Tbilisi. The status of Georgia's democratic republic has changed and turned into the Soviet Socialist Republic of Georgia (USSR). The question of determining borders became Russia's prerogative.

Since 1991, Georgia has regained its independence, Georgia has been fighting against it and struggles with the distribution of borders. From 2148 km of the state border of Georgia, only about 13%, or 275 km is demarcated and delimited. The delimitation of the border was a long and difficult process for the state, because it depends on resolving inter-state diplomatic relations and protection of state sovereignty.

**Nino Bolkvadze**

# შინაარსი

**შესავალი** ..... **6**

**თავი I საქართველო - სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვა** ..... **11**

1.1 კვლევის მეთოდოლოგია და შესწავლის ისტორია ..... 11

1.2 საქართველო - სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის ისტორიული ანალიზი ..... 13

1.3 ქართულ - აზერბაიჯანული ურთიერთობებისა და სახელმწიფო საზღვრის გეოგრაფიულ-ისტორიული ანალიზი ..... 22

1.4 გეოპოლიტიკური სამკუთხედის საღვრების დემარკირება საქართველოს დღის წესრიგში ..... 27

**თავი II საქართველოს საზღვრის დემარკირებული მონაკვეთი** ..... **33**

2.1 საქართველო- თურქეთის სასაზღვრო ზოლის გეოპოლიტიკური ანალიზი ..... 33

2.2 ყარსის ხელშეკრულება და საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზოლის განსაზღვრა . 40

2.3 საქართველო -თურქეთის სახელმწიფო საზღვრის განლაგება დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში ..... 43

**III თავი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის ისტორიულ-გეოპოლიტიკური ანალიზი** ..... **46**

3.1რუსეთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა ..... 46

3.2 აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტის გავლენა საქართველოს საზღვრის ცვლელიბის საკითხში ..... 49

3.3 საქართველო - რუსეთის სასაზღვრო ზოლი ამიერკავკასიის პოლიტიკური ურთიერთობების განმსაზღვრელი ფაქტორი ..... 56

**დასკვნა** ..... **64**

**გამოყენებული ლიტერატურა** ..... **67**

# შესავალი

XX საუკუნის პირველ ათწლეულში საკმაოდ მწვავედ დგას სახელმწიფო ტერიტორიებისა და საზღვრების პრობლემა. სწრაფად იცვლებოდა საერთაშორისო ვითარება, რაც აისახებოდა სახელმწიფოების პოლიტიკურ მდგომარეობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მის ტერიტორიულ მთლიანობაზე. ამ პერიოდში ჯერ კიდევ ხდება ტერიტორიების გადანაწილება, რაც უმეტეს შემთხვევაში პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის და ახალი კონფლიქტებისა და დაძაბულობის კერებს წარმოშობდა. ცვლილებები განიცადა მსოფლიოს სასაზღვრო სისტემამ. 60-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკისა და ოკეანეთის საზღვრებში. ამ პერიოდში მხოლოდ აფრიკაში ჩვიდმეტი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, 80-იან წლებში მწვავე კრიზისმა მოიცვა სოციალისტური ბანაკი; მძლავრი სახალხო მოძრაობის შედეგად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაემხო ტოტალური რეჟიმი და დაიწყო დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ - წარმოიშვა საერთაშორისო სამართლის თხუთმეტი ახალი სუბიექტი... ფუნქციონირება შეწყვიტა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ და ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა. გაერთიანდა ორი გერმანული სახელმწიფო, დაიშალა იუგოსლავია; გაერთიანდა ორი არაბული სახელმწიფო; დამოუკიდებლობა მიიღო ნამიბიამ - საბოლოო კოლონიამ აფრიკაში; ფედერალური შტატები წარმოიშვა ოკეანეთში, ორად გაიყო ჩეხოსლოვაკია და აშ. აღნიშნულ მოვლენენებს არც საქართველო გამორჩენია, ჯერ კიდევ პირველი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას საქართველოს დღის წესრიგში დადგა საკითხი ტერიტორიების კუთვნილებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული ნაშრომის თემის აქტუალობას საქართველოს საზღვრის ცვლიბების ისტორიული ანალიზი და ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრა წარმოადგენს.

1918-21 წლებში ამიერკავკასიის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. დამოუკიდებელ სახელმწიფოებს პირველი, რაც უნდა გაეკეთებინათ ეს იყო ტერიტორიების გადანაწილების საკითხი, რონელიც მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული ჯერ კიდევ ხდება ტერიტორიების ხელახალი გადანაწილება, რაც უმეტეს შემთხვევაში პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის და ახალი კონფლიქტებისა და დაძაბულობის კერებს წარმოშობს.

საკითხი მით უფრო აქტუალურია, რადგან დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დელიმიტირებული და დემარკირებული. გამონაკლისია სახელმწიფო საზღვრის თურქეთის მონაკვეთი (266.01 კმ), რომელიც სსრკ-ისა და თურქეთის ყოფილი სახელმწიფო საზღვარია. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებაში საქართველოს საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ აღნიშნულია, რომ საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიის მუშაობის შედეგად, სომხეთთან და აზერბაიჯანთან შეთანხმებულია სასაზღვრო მონაკვეთის 65-65 %, ხოლო რუსეთთან – 40 %. 2008 წლის შემდგომი პერიოდიდან ვითარება გაურკვეველია.

ნაშრომის საკვლევ კითხვებს წარმოადგენს:

1. რა ისტორიულ-პოლიტიკურმა თავისებურებებმა განაპირობა სასაზღვრო ზოლის ცვლილება და როგორ ვითარდებოდა საზღვრების მდებარეობა?
2. რა ფაქტორებმა განაპირობა საზღვრების დღევანდელი მოცემულობა;
3. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას საზღვრების სრული დელიმიტაცია-დემარკაცია, რომელიც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტს წარმოადგენს.

თემის ჰიპოთეზა - პირველი დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს დღის წესრიგში აქტიურად დგას საკითხი - სახელმწიფო ტერიტორიების კუთვნილებასთან დაკავშირებით. თუმცა ამ დრომდე აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ყოფილ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში საქართველოს სახელმწიფო საზღვარი პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა, რადგან სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს დაცული და მოწესრიგებული საზღვრები, განსაზღვრული კუთვნილი ტერიტორიები და დემარკირებილი საზღვრისპირა ზოლი. ისეთ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, როგორშიც საქართველო იმყოფება საკითხი უფრო და უფრო აქტუალური ხდება. საზღვრის მთლიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს პრეროგატივაა, რადგან ძლიერი სახელმწიფოს განსაზღვრავს დაცული ტერიტორიები და დაცული საზღვრები, რაც ხელს შეუშლის უცხო სახელმწიფოთა შეღწევადობასა და მოწყვლადი ადგილების დაკავებას.

კვლევის საგანი, მიზანი და ამოცანები - გასული საუკუნიდან მოყოლებული დროის ცვლილების პარალელურად იცვლებოდა სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი - ტერიტორიული კუთვნილების საკითხი. ჯერ კიდევ შეუთანხმებელი და გადაუჭრელია საზღვრის გარკვეული მონაკვეთები, სასაზღვრო ტერიტორიების კუთვნილების თემა განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს ისეთი ისტორიის, ეთნიკური სიჭრელისა და გეოპოლიტიკური მდებარეობის რეგიონში, როგორიც კავკასიაა. შესაბამისად კვლევის მიზანია საქართველოს საზღვრის გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი, ყოფილ პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან მიმართებაში, იმ საკითხებისა და პრობლემების გამოვლენა, რომლებიც ყველაზე დიდ გამოწვევებს წარმოადგენენ და ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხსა და სახელმწიფოებრიობაზე. ამ ყველაფერზე დაყრდნობით შესაძლებელია სამომავლოდ გარკვეული რეკომენდაციების მომზადება და შემუშავება.

ნაშრომის მეთოდოლოგია საფუძვლად უდევს ისტორიულ-შედარებითი ანალიზი და ჟან-ბოდეს სუვერენიტეტის თეორია. ბოდენი, სახელმწიფოთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში სუვერენიტეტის ცნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან სახელმწიფო სუვერენიტეტი გამოხატავს მართვის უფლებას განსაზღვრულ გეოპოლიტიკურ სივრცეში. აღნიშნულ უფლებით სარგებლობისთვის სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი მთავრობა, მოსახლეობა და ასევე ჰქონდეთ საკუთარი ტერიტორია.

კვლევის მეთოდები – ნაშრომის წერისას ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, ვეყრდნობით პოლიტიკურ მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებულ და აპრობირებულ მეთოდებს, კერძოდ, ისეთს, როგორიცაა შედარებითი ანალიზი, ისტორიული ანალიზი, კონტენტ-ნალიზი, სიტუაციური ანალიზი, საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული დოკუმენტების შესწავლა და მათი განხილვა, ასევე დამუშავებული გვაქვს სხვადასხვა სახელმწიფო მოღვაწეთა, მეცნიერთა, მკვლევართა ნაშრომები თემის ირგვლივ, (კვლევის შედეგებისთვის გამოყენებული მასალები დეტალურად არის აღწერილი ბიბლიოგრაფიაში). ჩტარებულ იქნება ექსპერტთა სიღრმისეული ინტერვიუები.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა - სამაგისტრო ნაშრომს აქვს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან მასში შესწავლილი და გაანალიზებულია ზემოთაღნიშნული პრობლემების თეორიული ასპექტები: თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფო საზღვარის დემარკირებისა და დელიმიტაციის საკითხი მოსაზღვრე ქვეყნებთან გეოპოლიტიკური ურთიერთობისას.

ნაშრომი შესაძლოა გამოყენებული იქნეს პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ჩართული იქნეს სალექციო კურსებში და დაინტერესება ჰპოვოს ფართო აუდიტორიაში. რომელთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების საკითხები.

## ლიტერატურული მიმოხილვა:

1. კვლევა სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებით ეკუთვნის **ივანე ჯავახიშვილს,** რომელმაც 1919 წელს ჯერ ბათუმში, ხოლო შემდეგ კონსტანტინეპოლიში (ამჟამად სტამბულში) შექმნა ნაშრომი **"საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული"** [მაცაბერიძე, 2014. გვ. 5]. ნაშრომში მას განხილული აქვს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მთელი მონაკვეთი, აფასებს საზღვრების გადალახვის სირთულეებს და ხსნის მის გამომწვევ ფიზიკურ–გეოგრაფიულ ფაქტორებს.

2. მანანა ხვედელიძე  თავის ნაშრომში **საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები (XX საუკუნე), თბილისი 2000**, აანალიზებს  ქვეყნის საზღვრებს პირველი დამოუკიდებლობის წლებიდან მოყოლებული და განიხილავს ყველა იმ სამართლებრივ ასპექტს, რაც განსაზღვრავდა საზღვრის ცვლილებას.

3. საქართველოს საზღვრებს მრავალ ასპექტში განიხილავს **ნინო ვაშაყმაძე  თავის ნაშრომში სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921, ქუთაისი 2002.** იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არამარტო გეოგრაფიულ, არამედ ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს.
4. **ნიკა სამხარაძის ნაშრომში "საქართველოს სახელმწიფო საზღვარი – წარსული და აწყმო"** [სამხარაძე, 2012]. აქ გაანალიზებულია ქვეყნის ტერიტორიული ცვლილების პირველი დამოუკიდებლობის წლებიდან მეორე დამოუკიდებლობის წლებამდე, საბჭოთა მმართველობის ჩათვლით.

# თავი I საქართველო - სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვა

## 1.1 კვლევის მეთოდოლოგია და შესწავლის ისტორია

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის შესწავლისას სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნებასა და თეორიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მარტომ იტვირთოს საკუთარი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის ეპოქაში კაცობრიობის მომავალი ძლიერ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებაზეა დამოკიდებული. ამავე დროს, ყველა სახელმწიფო სათავეს საერთაშორისო ურთიერთობიდან იღებს, რადგან მათ ჩამოყალიბებასა და წარმართვას ომი და დიპლომატია უწყობდა ხელს, რომელიც ამავდროულად განსაზღვრავდა ამ სახელმწიფოს საზღვრებს და ამ საზღვრის რეჟიმის ევოლუციაზე ახდენდა გავლენას.

სახელმწიფოებს არ შეუძლიათ სრულ ავტარქიაში არსებობა და იძულებულნი ხდებიან დანარჩენ მსოფლიოსთან ითანამშრომლონ. ამგვარად, სახელმწიფოები ჩართულნი არიან დიპლომატიური ურთიერთობების მჭიდრო და კომპლექსურ ქსელში, ისინი იღებენ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომელიც მრავალმხრივი მოლაპარაკებებიდან მომდინარეობს და ისეთ ატრიბუტს ეხება, რაც განსაზღვრას სახელმწიფო სუვერენიტეტს, როგორიცაა საზღვრების ერთიანობა და ტერიტორიული კუთვნილება.

სუვერენიტეტის, როგორც სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორი ჟან ბოდენმა 1576 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „შვიდი წიგნი რესპუბლიკის შესახებ“ შემოგვთავაზა მისი პირველი დეფინიცია. იგი სუვერენიტეტს ახასიათებს, როგორც „რესპუბლიკის აბსოლუტურ და მუდმივ ძალაუფლებას“. ამგვარად, სუვერენიტეტი ორი ატრიბუტისაგან შედგება: სუვერენი მონარქის ,,LOY-ს ბოძებისა და გაუქმების“ უფლება ქვეშევრდომთა თანხმობის გარეშე;

და შეუზღუდავი დროით ძალაუფლების აღსრულების უფლება.[1] ამრიგად, ბოდენისეული განმარტება სუვერენიტეტის შესახებ საფუძვლად დაედო თანამედროვე სახელმწიფო დოქტრინას. სუვერენიტეტის დოქტრინამ თავისი ჩამოყალიბების დროიდან ევოლუცია განიცადა და სახელმწიფოებმა მონარქიზმისგან განთავისუფლების შემდეგ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს.

სახელმწიფოთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში სუვერენიტეტი ცნებას დიდი ყურადღება ეთმობა, რადგან სახელმწიფო სუვერენიტეტი გამოხატავს მართვის უფლებას განსაზღვრულ გეოპოლიტიკურ სივრცეში. ამ უფლებით სარგებლობისთვის სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი მთავრობა, მოსახლეობა და ასევე ჰქონდეთ საკუთარი ტერიტორია. ამ პირობებში, სუვერენიტეტის პრინციპი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები საკუთარ თავზე იღებენ შიდა პოლიტიკის არჩევანს და ამავე დროს, თავიანთი დიპლომატიურ - სტრატეგიული ორიენტაციების განმკარგველებად რჩებიან. აქედან გამოდინარე შეიძლება ითქვას, რომ სუვერენიტეტის ცნება სახელმწიფოებს და მის საზღვრებს ლეგიტიმურობის პრეზუმციას ანიჭებს და statu quo-ს შენარჩუნებას უწყობს ხელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფო ტერიტორიას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება - ეს არის ტერიტორია, რომელიც არსებული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება, ანუ მიეკუთვნება სახელმწიფოს, რომელიც მის საზღვრებში თავის იურისდიქციას ახორციელებს. სახელმწიფო ტერიტორიას მიეკუთვნება: ხმელეთი - დედამიწის სახმელეთო ზედაპირი (კუნძულების ჩათვლით); საწყლო ტერიტორია (აკვატორია) - შიდა წყლებისა და ტერიტორიული ზღვის ჩათვლით; წიაღისეული, რომელიც მოთავსებულია სახმელეთო და საწყლო ტერიტორიის ქვემოთ, ასევე კონტინენტური შელ-ფის წიაღისეული. მათი სიღრმე არ იზღუდება და თეორიულად დედამიწის

[1] პიერ დე სენარკლენი იოან არიფენი. საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები, მეხუთე გამოცემა თბილისი 2014, გვ 22.

ცენტრამდე ვრცელდება; საჰაერო ტერიტორია - ზემოთ ჩამოთვლილი სივრცეების თავზე მდებარე საჰაერო სივრცე.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე დიპლომატიაში, საზღვრების ურღვევობის საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვაში, ასევე, დანარჩენ მსოფლიოს ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხში. დღეისათვის, ტერიტორიული კუთვნილების საკითხი ჯერ კიდევ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს რიგი სახელმწიფოებისთვის და სახელმწიფოებში მიმდინარეობს იმ სუვერენული პრინციპის აღიარება, რაც საზღვრების დაცვის უზრუნველყოფას გულისხმობს.

## 1.2 საქართველო - სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის ისტორიული ანალიზი

პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენების შედეგად სამხრეთ კავკასია დამოუკიდებელ პოლიტიკურ აქტორად ჩამოყალიბდა. ,,ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი", ,,ამიერკავკასიის კომისარიატი" და შემდეგ სეიმი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ამ რეგიონში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ფორმირების გზაზე. 1918 წლის მაისში სეიმი დაიშალა. ამავე წლის 26 მაისს საქართველომ, 27 მაისს - აზერბაიჯანმა და 28 მაისს კი სომხეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. [2]

სამხრეთ კავკასიაში შექმნილი სამივე რესპუბლიკის პრობლემას სახელმწიფოებრივი საკითხი წარმოადგენდა, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან რეგიონში გაბატონებულმა რუსეთის კოლონიებმა გუბერნიების, მაზრებისა და ოლქების სახით სამხრეთ

[2] ნ. ვაშაყმაძე, სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წლებში. საქართველო ქუთაისი ფილიალი 2002წ. გვ 30

კავკასიის ერების ისტორიაში არსებული საზღვრები შთანთქა. სამივე რესპუბლიკამ საზღვრების შესახებ საკუთარი კონცეფცია შეიმუშავა. სომხეთსა და საქართველოს შორის საზღვრების კუთვნილების პრობლემა აქტუალური რჩებოდა.

სომხეთის სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა თბილისში ფორმირებული ეროვნული საბჭო, რომლის სათავეში დაშნაკური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ. სომხეთის მთავრობის შექმნამდე ამ ორგანომ 1 ივნისს თბილისში გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია: ,,ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობის დარღვევითა და საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადებით შექმნილი ახალი მდგომარეობის გამო სომხეთის ეროვნული საბჭო აცხადებს თავის თავს სომხური ოლქების უზენაეს და ერთადერთ მთავრობად. სომხური ეროვნული მთავრობის შედგენა სხვადასხვა მიზეზის გამო ახლო მომავლისთვის გადაიდო და ეროვნული საბჭო დროებით კისრულობს მთავრობის ყველა ფუნქციებს სომხური ოლქების პოლიტიკური ადმინისტრაციის საჭის სამართავად“[3]. ივლისის დასაწყისში შეიქმნა სომხეთის მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ოვ. ქაჯაზნუნი, , ეროვნულ საბჭოსთან ერთად ერევანში გადავიდა.

სახელმწიფოს საზღვრების საკითხს სომხეთის მთავრობა ეთნიკური პრინციპით მიუდგა და მოითხოვა სომხური მოსახლეობის უმრავლესობით დასახლებული მიწები, რაც მას ისტორიულად არასომხური ოლქების ხარჯზე ტერიტორიული გაფართოების შესაძლებლობას მისცემდა. საინტერესოა სომეხთა მიერ მომზადებული დოკუმენტი, 1918 წლის სტამბულში გამოცემული რუკა, რომელიც პარიზის სამშვიდობო კონფერენციისთვის იყო მომზადებული, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მთელი აჭარა, ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჩალოს

[3] ნ. ვაშაყმაძე, სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წლებში. საქართველო ქუთაისი ფილიალი 2002წ. გვ 23

მაზრები, გორისა და თბილისის მაზრების ნაწილი, თვით მცხეთა და საქართველოს დედაქალაქი თბილისი სომხეთის საკუთრებად იყო გამოცხადებული.

ზემოაღნიშნული ისტორიული რუკის პარალელურად სტამბულში დაიბეჭდა სრულიად სომხეთის ახალი რუკა, რომელშიც საქართველოს ტერიტორიებთან მიმართებაში  სომხეთის პრეტენზიები საზღვრებთან დაკავშირებით შემცირებულია: ,,ოსმალეთის დიდი ნაწილი შიგ არის მოქცეული ტრაპიზონი, ორდუ, ქ კესარია, ადანა, ეფესა, თვით სპარსეთის ჩრდილოეთ ნაწილისც ქ. თავრიზითა და არდებილი სომხეთის კუთვნილებათ არის აღბეჭდილი. შავ ზღვაზე საზღვრები ბათუმის სამხრეთით იწყებამახრიალის ჩრდილოეთით იმერხევი სომხეთისად არის განხილული,  მაგრამ ახალციხე საქართველოშია მოქცეული, სამაგიეროდ ახალქალაქი სომხეთშია მოქცეული და აქედან მოსაზღვრე ხაზი ჩრდილოეთისაკენ იწევს და საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვარი ტფილისის ოდნავ სამხრეთით ს. კოდასთან არის გატარებული“.[4]

ქართულმა მხარემ საზღვრების დადგენისთვის ისტორიული ეკონომიკური, სტრატეგიული და სხვა პარამეტრებით ხელმძღვანელობის პრინციპი წამოაყენა. მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას ინიციატივით, 1918 წლის 11 ივნისს შეიქმნა სახელმწიფო საზღვრის გამომრკვევი კომისია, კომისიის მიერ შემუშავებული დებულების მიხედვით სახელმწიფო საზღვარი  შემდეგნაირი უნდა ყოფილიყო - საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი სამხრეთით გადის მცირე კავკასიის ქედზე, მიდის ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვართან ყარაკლისის სამხრეთით, გადადის გოგჩის ტბის ჩრდილო ნაპირებამდე, უხვევს ჩრდილოეთით მდინარე აღსტაფაზე,მიდის სადგურ ძეგამამდე, შეიცავს საინგილოს და თავდება სილავათის მთით.

[4] ივ. ჯავახიშვილი დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველოს-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XXსს.),  თბილისი 1998, გვ 16-17

აღნიშნულ ისტორიულ მონაკვეთში სამხრეთ კავკასიაში შექმნილი სამხედრო პოლიტიკური ვითარება უმძიმესი იყო. თურქეთის აგრესიის პირობებში 1918 წლის აპრილ-ივნისში ჯერ ,,ამიერკავკასიის სეიმი“, შემდგეგ დამოუკიდებელი საქართველოსა და სომხეთის რესუპლიკები იძულებულები გახდნენ მიეღოთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები და დაეთმოთ თურქეთისთვის ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქები, ასევე დამატებით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. სომხეთს ჩამოსცილდა ერევნისა და ეჩმიაძინის მაზრების ნაწილი, მან შეინარჩუნა მხოლოდ 12 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, 1918 წლის 4 ივნისი ბათუმის ზავი დადებული ოსმალეთის იმპერიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებს შორის გამმიჯნავ საზღვარს შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: ,,საზღვარი იწყება იმ ადგილას სადაც ჩოლოქი ერთვის შავ ზღვას და შავნაბადას მთამდე მოიხაზება იმ საზღვრით, რომელიც 1877 წლამდე იყო ოტომანებისა და იმპერიასა და რუსეთს შორის, შემდეგ საზღვარი მოჰყვება მწვერვალთა ხაზს და ხალხამმეფისკარის მთებამდე 1856 წლის საზღვრით მიდის. აქედან ის მოუხვევს სამხრეთით 2კმ-ით სცილდება და შემდეგ ჩრდილო აღმოსავლეთის კურყელს აღწევს. შემდეგ საზღვარი მტკვარზე გადის აწყურის სამხრეთით 2კმ სიშორეზე და ქაია ბაშის, ორთათის და ყარყაის მწვერვალებით არწევს ტაბისყურის ტბას, საზღვარი სჭრის ტბას, საზღვარი სჭრის ტბას ისე, რომ ოტომანთა ტერიტორიაზე შედის ტბის ის ნაწილი, რომელიც მოლიტის სამხრეთით გაყვანილი პირდაპირი ხაზის სამხრეთით მდებარეობს. ეს პირდაპირი ხაზი მთავრდება ტბის მეორე აღმოსავლეთ ნაპირზე. ტბის ჩრდილოეთ კუთხის 1 ½ კმ-ს მოშორებით სამხრეთ აღმოსავლეთით. აქედან საზღვარი მიდის თავკვეთილ მთამდე ეშვება სამხრეთით და თავკირონის მთაგრეხილ მწვერვალს გადის“.[5]

4 ივნისის ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ ამ დოკუმენტის რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო საქართველოსა და ოსმალეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ. ბათუმის ზავის რატიფიცირება არ მომხდარა და იგი

[5] ნ. ვაშაყმაძე, სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წლებში. საქართველო ქუთაისი ფილიალი 2002წ. გვ 33

იურიდიულად ძალაში არ შესულა, მაგრამ ფაქტობრივად ზემოთჩამოთვლილ ტერიტორიებს ოსმალეთის ხელისუფლება უკვე აკონტროლებდა.

ამრიგად, სომხეთის რესპუბლიკა ჯერ კიდევ სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირობებში პრეტენზიას გამოთქვამდა ქართულ ტერიტორიებსა და მის მმართველობაზე, რაც კიდევ უფრო ასუსტებდა ქართულ მხარეს წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის. 1918 წლის დეკემბერში სომხური ჯარები უტევდა საქართველოს. სომხეთ-საქართველოს ომი დიდი ხანი არ გაგრძელებულა და ქართული ჯარის საომარი უპირატესობის პირობებში მოკავშირეთა ჩარევით შეწყდა. სომხეთის მთავრობამ და პარლამენტმა 1918 წლის დეკემბერში ერთხმად დაადგინა, სომხეთის ჯარს დაეკავებინა ჯავახეთი.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციის წარსადგენად კონსტანტინეპოლში 1918 დაბეჭდილ რუკაზე საქართველოს დედაქალაქი სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული. უნდა ვივარაუდოთ, რომ დეკემბერში დაწყებული საომარი ოპერაციებით სომხებს ამ კუთხითაც სურდათ თავიანთი გეგმების განხორციელება: ,,სომეხთა საომარი მოქმედებების მთელი მსვლელობა სრული სიცხადით ააშკარავებს, რამდენად ფართო გეგმა ჰქონდათ სომხეთის მთავრობას და ხელმძღვანელებს: მათი მიზანი ტიფლისის დაპყრობა და დასაკუთრება იყო, ხოლო თუ სამხედრო ბედი გაუღიმებდათ, იქნებ სომხურ რუკაზე მოხაზული მიწა-წყლის აღებაც“[6] ასე აფასებს ივ. ჯავახიშვილი. 21 დეკემბერს იწყება ბრიტანეთის ჯარების განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე. სამხრეთ კავკასიაში ჯარების განლაგების ვითარებაში ინგლისელებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საქართველო-სომხეთის ომის შეწყვეტას. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესრულებინა არბიტრის როლი, კომისიამ შეიმუშავა წინადადებები ომის შეწყვეტის შესახებ და გადასცა მეომარ მხარეებს. შესაბამისი მოლაპარაკებების შესახებ 25 დეკემბერს გაიცა ბრძანება საომარი

[6] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიული რარიტეტები, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზღისით განხილული, თბ.,1989 წელი, გვ. 60.

მოქმედებების შეწყვეტის შესახებ და მოგვიანებით ლორეს ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. 1919 წლის ბოლომდე ვითარება აქ არ შეცვლილა და ეს საკითხი კვლავ სადავოდ რჩებოდა სომხეთსა და საქართველოს შორის.

სომხეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისა და საერთოდ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი იყო სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის გაუგებრობისა და უთანხმოების აღმოფხვრა, სადავო საკითხების მშვიდობიანად მოგვარების მექანიზმის სემუშავება და შეთანხმებული საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება, ამ ამოცანათა გადასაჭრელად, საქართველოს მთავრობის ინიციატიატივით, 1919 წლის 27 აპრილს თბილისში ჩატარდა ,,ოთხთა კონფერენცია" საქართველოს აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიელთა რესპუბლიკის მონაწილეობით. კონფერენციის უმთავრესი საკითხი იყო ტერიტორიული გამიჯვნის პრინციპის შემუშავება საერთაშორისო ტრადიციებისა და პრაქტიკის საფუძველზე ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. სომხეთი აღნიშნულ კონფერენციაზე გამოთქვამდა პრეტენზიას, რომ ,,ყოველ სახელმწიფოს უნდა მიეკუთვნოს ის ტერიტორია, რომელზეც ამ სახელმწიფოს ერის უმრავლესობა ცხოვრობს"[7]

აზერბაიჯანის მხარე კი აცხადებდა ,,სადაო ტერიტორიად მხოლოდ შეიძლება მიჩნეული იქნას მხოლოდ ის ტერიტორია, რომელიც უშუალოდ საზღვართანაა, ამ დავის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნეს ხალხთა თვით გამორკვევის პრინციპი, თუ დავა გამოცხადდება იმ  რაიონზე, რომელიც თავისი მეურნეობით, ისტორიული პირობებით დაკავშრებულია სხვა უდავო რაიონებთან, მაშინ რეფერენდუმი უნდა მოხდეს".[8]

როგორც ჩანს ამ ორ ,,მოწინააღმდეგე" სახელმწიფოს შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, განსაკუთრებით ეს შეიჩნევა

[7] გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა", 1919, N118.
[8] იქვე.

სომხეთის პოზიციაში, რომლიც კვლავ ეთნიკურ პრინციპზე იდგა სასაზღვრო საკითხის გადაწყვეტაში, რაც მას დიდ უპირატესობას მისცემდა.

კონფერენციაზე სომეხი დელეგატები კატეგორიულად მოითხოვდნენ მათი წინადადების მიღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პრობლემას პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გატანით იმუქრებოდნენ. ხანგრძლივი დავის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ ტერიტორიული დავა დაინტერესებულ რესპუბლიკებთა შეთანხმებით უნდა მოხდეს, თუ საკითხი მაინც ვერ გადაიჭრება, საქმეში ჩაერევა არბიტრაჟი. ფორუმის მუშაობის პროცესში მიღებული იქნა საგანგაშო ცნობა, რომ დენიკინის მოხალისეთა არმია თავს დაესხა მთიელთა რესპუბლიკას. 9 ივნისს პლენარულ სხდომაზე ევ. გეგეჭკორმა თანაგრძნობა გამოუცხადა მთიელთა დელეგაციას და წამოაყენა პროექტი ანტანტის პარიზის კონფერენციისადმი მტკიცე პროტესტის გამოცხადების შესახებ (გენერალი დენიკინი მოქმედებდა მათი თანხმობით). რეზოლუციას მხარი არ დაუჭერა მხოლოდ სომხეთის მხარემ შემდეგი მოტივებით:

1. დენიკის საფრთხე გაზვიადებულია და სომხეთს საშიშროება მხოლოდ ოსმალეთის მხრიდან მოელის;
2. დელეგაციას ერევნიდან არავითარი დირექტივები არ მიუღია ამ საკითხთან დაკავშირებით, ანოტომ იგი ვერ გადააჭარბებს თავის კონპეტენციას.[9]

9 ივნისის იმავე სხდომაზე საქართველოს დელეგატებმა სამივე რესპუბლიკას შესთავაზა დაედოთ სამხედრო ხასიათის ხელშეკრულება მოსალოდნელი საერთო მტრის წინააღმდეგ, სომხეთის რესპუბლიკამ არაკომპეტენტურობა მოიმიზეზა და უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობაზე. საქართველომ აზერბაიჯანთან

[9] ნინო ვაშაყმაძე სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921, ქუთაისი 2002 გვ.83

სამხედრო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 12 ივნისს, მოგვიანებით კი მთიელთა რესპუბლიკასთან.

მოგვიანებით 3 ნოემბერს კონფერენციის გადაწყვეტილების შესატყვისად გაფორმდა ხელშეკრულება ორ სახელმწიფოს შორის სადავო საკითხების შესახებ, რომლის თანახმად: ,,ხელშეკრულების დამდები სახელმწიფონი საქართველო და სომხეთის რესპუბლიკა ვალდებულებას იღებენ, რომ ყველა არსებული, აგრეთვე მომავალში მათ შორის აღმოცენებული დავა გადაწყვეტილ იქნას შეთანხმების გზით, ხოლო თუ უკანასკნელი ვერ იქნება მიღწეული, მაშინ არბიტრაჟის მეშვეობით“.[10]

ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს უფლება ეძლეოდა თავისუფლად გაეტანა და შემოეტანა საქონელი სომხეთის გავლით. ასეთივე თავისუფალი ტრანზიტის უფლება მიეცა სომხეთს საქართველოს ტერიტორიაზე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ უკანასკნელისთვის. საქართველოს სარკინიგზო გზები გარე სამყაროსთან სომხეთის დამაკავშირებელ უმთავრეს არტერიას წარმოადგენდა.

საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობის რესპუბლიკათა არსებობის პირველი ორი წლის მანძილზე მათ შორის არსებულ პრობლემათაგან უმთავრესი სახელმწიფოებრივი საზღვრბის საკითხი იყო. სომხეთის რესპუბლიკა დემოგრაფიულ ბალანსს ებღაუჭებოდა და საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე აცხადებდა პრეტენზია, რაც ეწინააღმდეგებოდა ქართული მხარის მიდგომას ამ საკითხისადმი. საქართვეოს მთავრობის მცდელობა მშვიდობიანი მოლაპარაკებების, საერთო კავკასიური კონფერენციის მოწვევების გზით გადაეჭრათ სადავო საკითხები - უშედეგო აღმოჩნდა. სამხრეთ კავკასიაში შემოსულმა ინგლისის მხარდაჭერის იმედმა

[10] ნინო ვაშაყმაძე სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921, ქუთაისი 2002 გვ.84

სომხეთის მთავრობა საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყების გადაწყვეტილება მიაღებინა.

სომხეთ-საქართველოს შორის ტერიტორიულ საკითხებზე დაპირისპირება და ინგლისის ხელისუფლების როლი ამ საკითხში კარგად ჩანს არტაანის ოლქთან მიმართებაში. მეფის რუსეთის ადმინისტრაციული ერთეულის - ყარსის გუბერნიის არტაანისა და ოლთისის ოლქების ისტორიულ ქართულ ტერიტორიებს წარმოადგენდა. სომხეთ-საქართველოს შორის საომარი ოპერაციების შეწყვეტის შემდეგ ახალციხე - ახალქალაქის მაზრებში დაიწყო საზღვრების ფორმირება. ინგლისის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ამ ოლქიდან ქართული რაზმის გამოყვანას, რათა მოგვიანებით საქართველოს ხელისუფლებას აღნიშნულ ტერიტორიაზე პრეტენზიის გამოთქმის საშუალება არ ჰქონოდა. ინგლისის პოლიტიკური ორიენტაცია მისი მფარველობითი პოლიტიკა სომხეთისადმი ,,დიდი სომხეთის იდეას უკავშირდებოდა, რაც მოკავშირეთა ,,აღმოსავლურ პოლიტიკაში" იმ დროისათვის საკმაოდ აქტუალური იყო. აგვისტოში ინგლისის ჯარების ევაკუაციის შემდეგ, მათი დადგენილებით არტაანი სომხეთს გადაეცა, მაგრამ საქართველოს მთავრობა წინ აღუდგა არტაანის ჩრდილოეთ ნაწილში სომხეთის იურისდიქციის გავრცელებას.

21 ოქტომბერს ანტანტის უმაღლესმა კომისარმა სცადა მოეგვარებინა ქართულ სომხური კონფლიქტი და ჩაატარა თათბირი, რომლის მიხედვით საქართველო იძულებული გახდა დაეტოვებინა არტაანის ოლქის სამხრეთ ნაწილი, რომელიც სომხეთის შემადგენლობაში გადავიდა. ამგვარი ვითარება არტაანში გაგრძელდა 1920 წლის შემოდგომამდე, სომხეთსა და ოსმალეთს შორის დაწყებული ომის შემდეგ სომხებმა დაცალეს არტაანის სამხრეთ ნაწილი. არტაანის მხარე მთლიანად საქართველოს ხელში აღმოჩნდა.

ამგვარად, გარკვეული პერიოდის მანძილზე არტაანის მხარეში ერთმანეთს ეჯახებოდა ქართულ-სომხური ინტერესები. ინგლისური მხარდაჭერა სომხეთისადმი

იმ ეტაპზე ნაკარნახევი იყო ,,დიდი სომხეთის“ შექმნისა და ამ უკანასკნელისათვის ზღვაზე გასასვლელის მიცემის სურვილით. 1920 წლის ბოლოსთვის ეს წინააღმდეგობა დაძლეული იქნა და არტაანის მხარე საქართველოს იურისდიქციაში მოექცა, მაგრამ ამჯერად ასპარეზზე ახალი სახელმწიფო თურქეთი გამოჩნდა.

საბჭოთა რუსეთმა და თურქეთმა სამხრეთ კავკასია გაიყვეს გავლენის სფეროებად, რაც საბოლოოდ 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულებით გაფორმდა. უფრო ადრე, ამ ორ სახელმწიფოთა შორის ძალათა მოსინჯვისა და წინასწარი მოლაპარაკებების პერიოდში გასაბჭოვდა აზერბაიჯანი შემდეგ სომხეთი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოურ სივრცეში მოსაქცევად რუსეთმა მოხერხებულად გამოიყენა სომხეთ-საქართველოს შორის სადავო ნეიტრალურ ზონაში ჯარების ყოფნა. 1917-21 წლებში სომხეთ საქართველოს შორის ურთიერთობათა ანალიზი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს სადავო ტერიტორიულ პრობლემათა მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის, სამხრეთ კავკასიის ერთა სოლიდარობის აუცილებლობაში.

## 1.3 ქართულ - აზერბაიჯანული ურთიერთობებისა და სახელმწიფო საზღვრის გეოგრაფიულ-ისტორიული ანალიზი

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა მთელს აღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროში პირველი რესპუბლიკა იყო, თუმცა მის დამოუკიდებლობას იმ მომენტისათვის უფრო დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა და სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და აღმშენებლობის ძნელი გზა ჯერ კიდევ დასაძლევი ჰქონდა. საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დღის წესრიგში დადგა საკითხი საზღვრების კუთვნილების საკითხი მეზობელ სახელმწიფოებთან. საქართველოსთვის ახალი პრობლემა არ ყოფილა აზერბაიჯანთან საზღვრის დემარკაციის საკითხი, მსგავსი პრობლემა სომხეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში

უკვე აწუხებდა. ორ  დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან სამეზობლო ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პირველ ადგილს იკავებდა საზღვრის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

დამოუკიდებლად ჩამოყალიბების შემდგომ პერიოდში, საზღვრების გამიჯვნას აზერბაიჯანის ხელისუფლება რელიგიური პრინციპით უდგებოდა და საქართველოს ზაქათალის ოლქს, ასევე მუსლიმებით დასახლებულ ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების ნაწილს ეცილებოდა. სომხეთის მმართველი წრეები ტერიტორიების გაყოფას ეთნიკური და რეალური მოსახლეობის პრინციპით მოითხოვდნენ. ისინი ჩვენს ქვეყანას ლორე-ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გამო ედავებოდნენ და პრეტენზია თბილისზე, გორზე, ბათუმსა და ბათუმის ოლქზეც ჰქონდათ. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებს, მათ თვალი აფხაზეთსა და შიდა ქართლის ოსებით დასახლებული მიწა-წყლის ნაწილზე ეჭირათ. თავის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სახელმწიფო საზღვრების დადგენას ისტორიული, ეკონომიკური, სტრატეგიული და სხვა პარამეტრებით მიუდგა, მაგრამ მის განხორციელებაში დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. სხვა სახელმწიფოებთან სადაზვერვო ალიანსით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აზერბაიჯანმა სამხედრო ზეგავლენით ზაქათალის ტერიტორია საკუთარ იურისდიქციას და რეალურ კონტროლს დაუქვემდებარა. აღნიშნული ქმედების ირგვლივ, ურეაქციოდ დასრულდა საქართველოს მთავრობის პროტესტი თუმცა აზერბაიჯანის ხელისუფლება, საჯაროდ აცხადებდა, რომ: „ჩვენსა და საქართველოს შორის ურთიერთობა სავსებით მეგობრულია. არც ერთი მხრიდან არ არსებობს არავითარი უკმაყოფილება. სადავო საკითხები წყდება მშვიდობიანი გზით, ურთიერთნდობის საფუძველზე.“

1919 წლის 16 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის დაიდო შეთანხმების აქტი[11], იმ სერიოზული საფრთხის გამო, რომელიც მოელის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ მხარეები ვალდებული არიან ერთად გამოვიდნენ თავისი შიარაღებული ძალებით თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც შეთანხმების მონაწილე მხარეების დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ ხელშეუხებლობას ემუქრება. მაგრამ ეს არ უნდა გავრცელებულიყო იმ კონფლიქტებზე, რომლებიც შეიძლებოდა მომხდარიყო საზღვრების გამო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი გადამიჯვნის ნიადაგზე. აქვე იყო აღნიშნული, თუ რომელიმე მხარე თავს დაესხმის ერთმანეთს საზღვრის გამო დავის მიზნით, ის მეომარ სახელმწიფოდ გამოცხადდებოდა. შეთანხმება დაიდო სამი წლის ვადით, თუ ამ ვადის გასვლამდე დაარსდებოდა ხალხთა ლიგა, რომელიც უზღუნველყოფდა ყველა მის მონაწილე სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და საზღვრების ხელშეუხებლობას, რესპუბლიკების ხალხთა ლიგაში შესვლისთანავე აღნიშნული შეთანხმება ძალადაკარგულად გამოცხადდებოდა. ხოლო მესამე დამოუკიდებელ სახელმწიფოს, სომხეთს ორი კვირის ვადა ეძლეოდა რათა შეერთებოდა აღნიშნულ შეთანხმებას. მოგვიანებით კი, 1920 წლის 5 თებერვალს საქართველო-აზერბაიჯანი თანხმდება თავისუფაკი ტრანზიტისა და უბაჟო გადასახადების შესახებ.

ამავე წელს განსაზღვრული იქნა საზღვრები საქართველოს დამოუკიდებელ და აზერბაიჯანის სოციალურ რესპუბლიკას შორის, რომლის მიხედვით საზღვრად აღიარებული იყო ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის გავლებული საადმინისტრაციო ხაზი. რომელიც იწყება სომხეთის ზონიდან, გადადის პოვერჩაშის მთაზე, შემდეგ გადაივლის ვარტიშის მთას საადმინისტრაციო საზღვრის ხაზით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მიმართულ წყაროებამდე. ეს წყაროები ორი ვერსის

[11] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921წ, გვ. 275-277.

მანძილზეა ყაზილჩაის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით; იქიდან საზღვარი მოდის პირობით ნაგულისხმევი ხაზით ტარსისა და ბაბაკირის მტების ქედს გადაღმა მის აღმოსავლეთ ფერდობზე, წითელ ხიდს შუა გაუვლის, მერმე გაჰყვება ძველ საზღვარს, რომელიც ხრამსა და მტკვარს მისდევს. შემდეგ ფოილოს ხიდს გაუვლის შუაზე, იქიდან წავა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ძველ საადმინისტრაციო საზღვრით იალაღჯისის ქედამდე, მერე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დაუხვევს ძველ საადმინისტრაციო პალან-ტუკენის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ საადმინისტრაციო ხაზით და ასე მიდის ზაქათალის ოლქის მიჯნამდე.

ამავე ხელშეკრულებით წითელი ხიდისა და ფოილოს ხიდის წინა მდებარე ზონები, აგრეთვე მტკვრის მარცხენა ნაპირი, აზერბაიჯანის მიწა-წყალზე ცნობილი იქნა ნეიტრალურ ადგილებად ერთი წლის განმავლობაში დღიდან ამ ხელშეკრულების დადებიდან შემდეგ საზღვართა შორის.

1) ყაზახის მაზრაში ის მიწა-წყალი, რომელიც შემოზღუდულია -ინჯა-სუს მდინარითა და ბორჩალოსა და თბილ მაზრის საადმინისტრაციო საზღვართა,
2) ყაზახის მაზრაში ის რაიონი, რომელსაც საზღვრავს ხაზი ყაზილ-ჰაჯალისა, ფეიქალისა, სადგ. საქარლი და ღლია მტკვრისა იმ ჭალებთან, რომელიც ჰასან-სუს შესართავის დასავლეთით იმყოფება, იქიდან პირდაპირი ხაზი წავა ჩრდილო აღმოსავლეთით ჩობან-დაღის ქედით სამხრეთ-აღმოსავლეის მიმართულებით სიღნაღის მაზრის საადმინისტრაციო მიჯნამდე. ყველა ჩამოთვლილი სანაპირო დასახლებული ადგილია.

აღნიშნული ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად ნეიტრალური ზონების ტერიტორიაზე არ შეიძლებოდა არავითარი სიმაგრის აღება არც ჯარის შეყვანა. ადმინისტრაცია და მმართველობა აზერბაიჯანის მხარის უნდა დარჩენილიყო , წითელ ხიდს საქართველოს მხრიდან დაიცავდა ქართველთა სადარაჯო, ხოლო აზერბაიჯანის მხრიდან აზერბაიჯანის სადარაჯო. საქართველოს უფლება ეძლეოდა ხიდით თავისუფლად ესარგებლა ტარსისა და ბაბაკირის მთაში მიმოსვლისთვის. მე-

6 მუხლი კი ითვალისწინებდა  ზაქათალის ოლქის საკითხი გადაეცა საარბიტრაჟო კომისიას, რაც გათვალისწინებული იყო რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე,  ვიდრე საარბიტრო კომისიის მიერ ეს საკითხი არ გადაწყდებოდა, არც ერთ მხარეს არ ეძლეოდა ნება ზაქათალას ოლქში ახალი ჯარის შეყვანაზე. აღნიშნული მუხლის შენიშვნაში ნათლად ჩანს, რომ ზაქათალის საქმის შესახებ შეთანხმება ვერ მოხერხდა მხარეთა სხვადასხვა აზრის გამო.  იმავე დღეს, 1920 წლის 12 ივნისს, მხარეთა შორის დადებული იქნა დამატებითი მორიგება, რომლის მე-3 მუხლით საქართველოს რესპუბლიკა კისრულობდა ფოილოს ხიდის აღდგენის, ხოლო საჭირო თანხები ორივე მხარეს უნდა გაეღო.

1921 წლის 15 ნოემბერს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დაიდო შეთანხმება  აზერბაიჯანის  სოციალურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას შორის შიდა საზღვრების დაწესების შესახებ. რომლის მიხედვითაც სასაზღვრო ზოლი შემდეგი ხაზით იყო განსაზღვრული: ,,საზღვარი იწყება წითელ ხიდიდან, მიემართება ჩრდილოეთისკენ თორფან-თანისკენ, მიდის სწორი ხაზით, კვეთს მდ. მტკვარს და ქოზლუხის ტყის გავლით აღწევს ყარაიას სარწყავი სისტემის მე-17 რუს სამხრეთით ბოლომდე, საიდანაც იმავე მე-17 რუს დასავლეთის მხრიდან მიდის ჩრდილოეთის მიმართულებით და მოიცავს სოფელ შიხლის მცხოვრებთა მიერ დამუშავებულ ყველა მიმდებარე მიწას. შემდეგ საზღვარი მიემართება ჩრდილოეთისაკენ, მოიცავს ბეკქიასიქის მამულს, კვეთს ჯანდარის ტბას, ტოვებს რა მის აღმოსავლეთ - აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მფლობელობაში, ხოლო დასავლეთ ნახევარს საქართველოს სს რესპუბლიკის მფლობელობაში და მიემართება ჩრდილოეთისაკენ, ყირიშლის მთაზე, აღწევს ქეშიშ-გზეის მთამდე, ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთით და მიემართება შიხლი-ქარავან-ელის უღელტეხილის გავლით, კვეთს დიდ გზას, უხვევს ჩრდილოეთისაკენ, ადის ლებსიზინდააზე, კვეთს არამდიარე ხრამს, შემოუვლის ქუთნას, აღწევს ყალაგერის მთამდე, მიდის მდინარე იორამდე,

მასზე გაყოლებით კი ქესამალის მიჯნამდე და შემდეგ მიემართება სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით”.[12]

ამრიგად, საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო მონაკვეთი, არაერთხელ გამხდარა ინტერესისა და დაპირისპირების ობიექტი. აზერბაიჯანი, მიუხედავად მისი მეგობრული დამოკიდებულებისა, ცდილობდა საქართველოს ხარჯზე გაეფართოვებინა სასაზღვრო ზოლი და საქართველოს საზღვრის შიგნით გავლებულიყო სახელმწიფო სასაზღვარი.

## 1.4 გეოპოლიტიკური სამკუთხედის საღვრების დემარკირება საქართველოს დღის წესრიგში

ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებისთანავე 1918-21 წლებში გაჩნდა სახელმწიფოს უმთავრესი პრობლემა ტერიტორიის კუთვნილებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო საზღვარი მუდმივად განიცდიდა დემარკაციულ ცვლილებებს, ქართულ ტერიტორიებზე მუდმივად გამოთქვამდნენ პრეტენზიებს აზერბაიჯანიც და სომხეთიც. სსრ კავშირის შექმნის შემდეგ კი სახელმწიფოს საზღვარს ცვლილებები არ განუცდია და, იგი რა ტერიტორიის ფარგლებში შევიდა სსრ კავშირში, იმ ფარგლებში გამოვიდა სსრ კავშირიდან.

სსრ კავშირის შემდეგ, საქართველო ცდილობს გეოსტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ მეზობლებთან შეინარჩუნოს სამშვიდო ურთიერთობა და 1993 წლის 19 მაისს იდება ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თნამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ, ხელშეკრულებაში აღიარებულია მხარეთა მიერ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის

[12] მანანა ხვედელიძე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები (XXსაუკუნე), თბილისი 2000. გვ. 51.

პრინციპები, მაგრამ მათ შორის სახელმწიფო საზღვრების დადგენა და სამართლებრივი გაფორმება არ მომხდარა.[13]

1994 წლის 31 დეკემბერს შეიქმნა საქართველო სომხეთისა და საქართველო აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სახელმწიფო კომისიები, რომლებიც შეუდგნენ საზღვრის შესაბამისი მონაკვეთების შესწავლასა და არსებული მასალების საფუძველზე ოქმის დონეზე მოლაპარაკებათა პროცესებს.

მოგვიანებით, 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული იქნა სახელმწიფოს უზენაესი კანონი - საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მეორე მუხლშიც განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორილი მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურდა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებული იქნა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიების გასხვისება აიკრძალა, სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული მხოლოდ ორმხრივი შეთანხმებით. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრა კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

ამრიგად, სახელმწიფო საზღვარი მნიშვნელოვან ელემენტად დასახელდა სახელმწიფოსთვის და განისაზღვრა მისი მნიშვნელობა იურიდიულად. საინტერესოა მეზობელ სახელმწიფოთა დამოკიდებულება საზღვრებთან დაკავშირებით. სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომელიც ასევე რეფერენდუმის გზით არის მიღებული 1995 წლის 5 ივლის, მესამე თავში (რესპუბლიკის პრეზიდენტი) 49-ე მუხლით აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი არის დამოუკიდებლობის,

[13] ქართული დიპლომატია ტომი III, თბილისი 1996 წელი. გვ. 402-410.

ტერიტორიული მთლიანობისა და რესპუბლიკის უსაფრთხოების გარანტი. 82-ე მუხლით, ეროვნული კრება მთავრობის წინადადებით ამტკიცებს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას. 104-ე მუხლით სომხეთის რესპუბლიკაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია ოლქები და თემები, ოლქი შედგება სოფლისა და ქალაქის თემებისაგან, ქ. ერევანს აქვს ოლქის სტატუსი . 62-ე მუხლით სომხეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ეროვნული კრება, სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მუხლობრივ აღწერილობაში სხვა ჩანაწერები ტერიტორიასა და სახელმწიფო საზღვრების შესახებ საერთოდ არ ფიქსირდება.[14]

როგორც ირკვევა სახელმწიფო საზღვრის დემარკირების პროცესი ქვეყნის უმაღლეს კანონში განხილული არ არის. მოგვიანებით კი საქართველოს მთავრობა ადგენს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიას, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხებზე საქართველოს პოზიციის შემუშავების, მოლაპარაკებათა წარმართვის, შესაბამისი სამუშაოების ორგანიზების, ასევე, მეზობელ სახელმწიფოებთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის განსაზღვრასა და დადგენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით შეიქმნა, თუმცა საქართველო - სომხეთის საზღვრის 224 კილომეტრი ჯერ კიდევ დემარკირების გარეშეა.

განსხვავებული პოზიცია აქვს აზერბაიჯანის რესპუბლიკას, კონსტიტუციაში ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების შესახებ ვკითხულობთ, კერძოდ მე-3 მუხლში ორი ძირითადი ჩამონათვალია იმ საკითხებისა, რომლებიც წყდება საერთო-სახალხო გამოკითხვით რეფერენდუმით,

[14] მანანა ხვედელიძე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები (XX საუკუნე), თბილისი 2000. გვ 120-124

- პუნქტი1. აზერბაიჯანის კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა;
- 2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის შეცვლა; მე-11 მუხლის 1 პუნქტით, აზერბაიჯანის ტერიტორია ერთიანია, ხელშეუხებელი და განუყოფელი.
- მე-2 პუნქტით აზერბაიჯანის შიგა წყლები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კუთვნილი კასპის ზღვის სექტორი (ტბა), აზერბაიჯანის რესპუბლიკის საჰაერო სივრცე აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილებია;
- მე-3 პუნქტით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორია განუსხვისებელია.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა არავის არანაირ ნაწილში და არავითარი ფორმით არ გადასცემს თავის ტერიტორიას, სახელმწიფო საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ რეფერენდუმის გზით, რომელიც ტარდება აზერბაიჯანის მთელ მოსახლეობაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის გადაწყვეტილებით აზერბაიჯანელი ხალხის ნების გამოხატვის საფუძველზე. კონსტიტუცია მიღებულია რეფერენდუმის გზით 1995 წლის 12 ნოემბერს.

ამგვარად, აზერბაიჯანის რესპუბლიკას საზღვრების საკითხი უმაღლეს დონეზე აქვს დაცული. ტერიტორიული მთლიანობა მკაცრად აქვს გაწერილი კონსტიტუციაშიც და მისი გადაცემა ან კიდევ გასხვისება აკრძალულია. 1996 წლის 8 მარტს ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჟანის რესპუბლიკებს შორის, მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუშიშროების განმტკიცების შესახებ. ხელშეკრულება სახელმწიფოს მხრიდან რატიფიცირებულია 1996 წლის 12 ივნისს., ხოლო აზერბაიჯანის მხრიდან 1996 წლის 19 აპრილს. არნიშნული ხელშეკრულებაში აღიარებულია საერთშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების დებულებანი, მაგრამ სახელმწიფოთა შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენა და სამართლებრივი გაფორმება არც ახლა არ მომხდარა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა რომელსაც საქართველოს რესპუბლიკა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან აფორმებდა, რათა საზღვარის პრობლემა ამ ორ სახელმწიფოს შორის მოგვარებულიყო ჯერ კიდევ რჩება დავის საკითხად და მოლაპარაკებები დღეს კიდევ მიმდინარეობს.

საქართველოს მე-5 პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის თქმით საქართველოსთვის აზერბაიჯანი მნიშვნელოვანს სტრატეგიულ მეზობელ სახელმწიფოს წარმოადგენს და  წარმოადგენს და აუცილებელია შეთანხმება საზღვრებთან დაკავშირებით.

*„ჩვენი მეგობრობიდან გამომიდინარე, გადავწყვიტეთ, რომ უნდა მივცეთ საზღვრის სადელიმიტიზაციო კომისიას მითითება, რომ განაახლოს მუშაობა, მივიყვანოთ ეს პროცესი ბოლომდე და საბოლოოდ დავადგინოთ ჩვენი ერთობლივი საზღვარი, რომელიც უნდა იყოს გამაერთიანებელი საზღვარი და არა გამიჯვნის საზღვარი. მაგრამ ნორმალურია, რომ, ჩვენი მეგობრული ურთიერთობებიდან გამომდინარე, ეს საკითხი ბოლოს და ბოლოს დასრულდეს, ამდენი წლის შემდეგ“,* - განაცხადა ზურაბიშვილმა 2019 წლის თებერვალში აზერბაიჯანში ვიზიტისას. [15]

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის მონაკვეთი ამ დრომდე დემარკირებული არ არის, სასაზღვრო პოლიციის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთის საერთო სიგრძე დაახლოებით 1839 კილომეტრს შეადგენს. აქედან  აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან არსებული საზღვრის სიგრძე კი  446 კილომეტრია. მიუხედავად საქართველოს მიერ გადადგმული მეგობრული ნაბიჯებისა, რაც მშვიდ გარემოში საზღვრის დემარკირებას გულისხმობდა, აზერბაიჯანის მხრიდან მოჰყვა ერთგვარი პროტესტი, რაც გამოიხატება ისტორიული დავით გარეჯის, სამონასტრო კომპლექსის უდაბნოს

[15] ,,საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დადგენა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ – ზურაბიშვილი“. 27.02.2019. ნანახია 10.06.2019. https://reginfo.ge/politics/item/12779-saqartvelo-azerbaijanis-sazgvris-dadgenis-prozesi-bolomde-unda-miviybvanot-%E2%80%93-zurabishvili

მონასტერთან საზღვრის დავაში. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გასწვრივ 25 კილომეტრზეა გადაჭიმული, იგი სატავეს VI საუკუნიდან იღებს, როდესაც 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთი – დავითი გარეჯის გამოქვაბულში დასახლდა და იქ პირველი მონასტერი — დავითის ლავრა დააარსა. კომპლექსი 20-ზე მეტი მონასტრისგან შედგება. ადრე, აქ დამთვარიებლებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უშვებდნენ, 2012 წლის მაისიდან კი, მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დამოკიდებულება შეიცვალეს ტურისტებს მონასტერში შესვლის საშუალებას აღარ აძლევდნენ, თუმცა ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა.

დღეისათვის სიტუაცია საკმაოდ მწვავეა, დავით გარეჯი არის ერთ-ერთი სენსიტიური თემა, რომელიც გავლენას იქონიებს საქართველო-აზერბაიჯანის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ/შეუთანხმებელ საზღვრის განლაგების საკითხში. ისტორიულად საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის ბედ-იღბალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ერთის მხრივ საქართველო -აზერბაიჯანის სტრატეგიული ურთიერთობა და მეორეს მხრივ ტერიტორიული მთლიანობა გაურკვეველი რჩება. სადავეები ვის ხელში აღმოჩნდება ამას ალბათ, მძლავრი სახელმწიფოებრივი ბერკეტის ქონა და მომგებიანი ქმედითი ნაბიჯები გადაწყვეტს.

ყოველივე ზემოთ თქმული ცხადყოფს, რომ აუცილებელია შემუშავდეს და განისაზღვროს ერთიანი სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო რანგში იქნება აყვანილი სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი გაფორმების საკითხები და შესაბამისად გადაიხედება საქართველოს კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც სახელმწიფო საზღვრის ცვლილებასთან არის დაკავშირებული. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს უშუალო მეზობლის - აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციურ მიდგომას სახელმწიფო ტერიტორიებისა და სახელმწიფო საზღვრის საკითხებთან მიმართებაში, რათა

საქართველოს მთელი მოსახლეობა და არა მისი ნაწილი რეფერენდუმის გზით წყვეტდეს სახელმწიფო საზღვრის უმნიშვნელოდ შეცვლის საკითხსაც კი.

# თავი II საქართველოს საზღვრის დემარკირებული მონაკვეთი

## 2.1 საქართველო- თურქეთის სასაზღვრო ზოლის გეოპოლიტიკური ანალიზი

საქართველო-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობები პოლიტიკური თვაისებურებებით ხასიათდება. თურქეთის რესპუბლიკასთან სამეზობლო ურთიერთობები არც თუ ისე სამშვიდობო ვითარებაში მიმდინარეობდა, საქართველო თურქეთისთვის ყოველთვის იყო ინტერესის საგანი, ხოლო საქართველოსთვის თურქეთი ისტორიულად მსხვილ გეოსტრატეგიულ მეზობელს წარმოადგენდა.

ახლადფორმირებილ სახელმწიფოსთვის, პირველი დამოუკიდებლობის პერიოდში, საქართველო არაერთხელ გამხდარა დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური სარბიელი. 1917 წელს რუსეთსი ორი რევოლუცი მოხდა და საბოლოოდ ხელისუფლება ბოლშევიკების ხელში 1917 წლის 28 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში (დღევანდელი ბრესტი) რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციამ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. ეს მოლაპარაკება 1918 წლის 3 მარტს საზავო ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა, რომელიც ისტორიაში ბრესტის ზავის სახელით შევიდა. ამ ზავით საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის დაახლოებით 1 მილიონი კვადრატული კილომეტრი დაეთმო. ამ დათმობებში ოსმალეთის სასარგებლოდ სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიების დათმობაც შედიოდა. ამ ხელშეკრულებაში, რომელსაც ოფიციალურად "სამშვიდობო ხელშეკრულება ერთ მხრივ რუსეთსა და მეორე მხრივ გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა, ბულგარეთსა და თურქეთს შორის" ეწოდება IV მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცში ვკითხულობთ: "რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რაც მისგანაა დამოკიდებული, რათა

უზრუნველყოს აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციების უსწრაფესი გაწმენდა და თურქეთისათვის მოწესრიგებული დაბრუნება. არდაჰანის, ყარსის და ბათუმის ოლქები ასევე დაუყოვნებლივ გაიწმინდება რუსეთის ჯარისაგან. რუსეთი არ უნდა ჩაერიოს ამ ოკრუგების სახელმწიფოს სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ ორგანიზაციაში და ამ ოკრუგების მოსახლეობას საშუალება უნდა მისცეს ახალი წყობილება დაამყაროს მეზობელი სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით თურქეთის თანხმობით".[16]

1917 წლის 28 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში (დღევანდელი ბრესტი) რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციამ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. ეს მოლაპარაკება 1918 წლის 3 მარტს საზავო ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა, რომელიც ისტორიაში ბრესტის ზავის სახელით შევიდა. ამ ზავით საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის დაახლოებით 1 მილიონი კვადრატული კილომეტრი დაეთმო. ამ დათმობებში ოსმალეთის სასარგებლოდ სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიების დათმობაც შედიოდა. ამ ხელშეკრულებაში, რომელსაც ოფიციალურად "სამშვიდობო ხელშეკრულება ერთ მხრივ რუსეთსა და მეორე მხრივ გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა, ბულგარეთსა და თურქეთს შორის" ეწოდება IV მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცში ვკითხულობთ: "რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რაც მისგანაა დამოკიდებული, რათა უზრუნველყოს აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციების უსწრაფესი გაწმენდა და თურქეთისათვის მოწესრიგებული დაბრუნება. არდაჰანის, ყარსის და ბათუმის ოლქები ასევე დაუყოვნებლივ გაიწმინდება რუსეთის ჯარისაგან. რუსეთი არ უნდა ჩაერიოს ამ ოკრუგების სახელმწიფოსამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ ორგანიზაციაში და ამ ოკრუგების მოსახლეობას საშუალება უნდა მისცეს ახალი წყობილება დაამყაროს მეზობელი სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით თურქეთის თანხმობით". როგორც

[16] მანანა სანაძე, თამაზ ბერაძე. საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზოლის 550 წლიანი ისტორია. გვ 647. ნანახია 10.06.2019. https://ortakfikir.com/webstore/160220180723429.pdf

ვხედავთ, ბრესტის ზავის IV მუხლის 3-ე აბზაცის ასეთი ფორმულირება ზუსტად ვერ ასახავს იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს, რომელსაც საბჭოთა რუსეთი თმობდა. ეს ოკრუგები, როგორც უკვე ვნახეთ, ყარსისა და ბათუმის ოლქებში შედიოდა. ამ აბზაცის ასეთი ფორმულირების წინადადება თურქეთიდან მოდიოდა. როგორც გვახსოვს, ბერლინის ტრაქტატის 58-ე მუხლით "ბრწყინვალე პორტამ" რუსეთს აზიაში "არდაჰანის, ყარსის და ბათუმის ტერიტორიები" გადასცა. ახლა კი დამარცხებულ რუსეთს ოსმალეთი ამ ტერიტორიას დაახლოებით იმავე ფორმულირებით ათმობინებდა. ბრესტის საზავო ხელშეკრულება ფორმალურად რუსეთის მიერ ოსმალეთისათვის ყარსისა და ბათუმის ოლქების გადაცემას არ გულისხმობდა. ამ ხელშეკურულების მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო, რომ თავისი პოლიტიკური ბედი ამ ოლქების ოსახლეობას რეფერენდუმით უნდა გადაეწყვიტა, რომელსაც ზედამხედველობას ოსმალეთთან ერთად სხვა მეზობელი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც გაუწევდა.

ბრესტის საზავო ხელშეკრულება აგრეთვე ბათუმისა და ყარსის ოლქების საზღვრების ზუსტ დადგენასაც ითვალისწინებდა. ამას მოწმობს იმავე 1918 წლის 3 მარტს რუსეთსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი კიდევ ერთი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების I მუხლის მიხედვით რუსეთს დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა ომის დროს დაკავებული თურქეთის ტერიტორია. მე-2 მუხლით კი 3 თვის მანძილზე უნდა შექმნილიყო შერეული თურქულ-რუსული ორი კომისია, რომლებსაც 1880 წლის რუკების და საოქმო ჩანაწერების მიხედვით "ყარსის, არდაგანის და ბათუმის სანჯაყების" საზღვრების დემარკაციაზე უნდა ეზრუნა. აგრეთვე ამ სანჯაყებსა და რუსეთს შორის ძველი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე არსებული საზღვარი უნდა აღედგინა. მალე რუსეთი კავკასიის ფრონტი მთლიანად მოიშალა და ხელშეკრულების ამ მუხლმა ყოველგვარი აზრი დაკარგა. ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლები ბრესტის საზავო მოლაპარაკებას არ ესწრებოდნენ. მათ 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში პირდაპირი საზავო მოლაპარაკება დაიწყეს ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებთან. ოსმალეთი ამიერკავკასიის

კომისარიატისაგან ბრესტის ზავის ცნობას ითხოვდა, რაზედაც ის ერთხანს უარზე იყო. ამის საპასუხოდ 1918 წლის 25 მარტს ოსმალეთის ჯარმა დროებითი დაზავება დაარღვია და ყარსის და ბათუმის ოლქებში შემოიჭრა. შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატმა ტრაპიზონიდან თავისი დელეგაცია გაიწვია. მოკლე ხანში ოსმალეთის ჯარმა არამარტო ბათუმისა და ყარსის ოლქები, არამედ 1829 წლის ადრიანოპოლის ზავით, რუსეთისთვის დათმობილი ახალციხის და ახალქალაქის მხარეები - სამცხე-ჯავახეთი - დაიკავა. ასეთ პირობებში ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა უკვე 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოუხდა. ხელშეკრულებას ხელი 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში მოეწერა. ამ ხელშეკრულებით საქართველო ოსმალეთს არამარტო ბათუმის ოლქს და ყარსის ოლქის ქართულ მიწებს უთმობდა, არამედ ჯავახეთი და სამცხეც აწყურისა და აბასთუმნის უბნების გამოკლებით ოსმალეთის ხელში გადადიოდა. ეს ხელშეკრულება ერთი თვის მანძილზე უნდა ყოფილიყო რატიფიცირებული, რაც არ მომხდარა.

ასე, რომ ბათუმის ხელშეკრულება ძალაში არ შესულა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საყოველთაოდ განაცხადა, რომ მან ამ ხელშეკრულებას ხელი იძულებით მოაწერა. უფრო მეტიც, მან მოკლე ხანში "სახელმწიფოებს და ერებს" საგანგებო "მემუარი" გაუგზავნა, სადაც თავის საზღვრებში ოსმალების მიერ დაკავებული ქართული მიწებიც მოიხსენია: "საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია შესდგება ამიერკავკასიის ყოფილი სამი გუბერნიისაგან: თფილისის, ქუთაისის და ბათუმის და ორი ოლქისაგან: - სოხუმისა და ზაქათალის. ეს ტერიტორია შეიცავს დაახლოებით 80. 000 ოთხკუთხ კილომეტრს და მასზე ცხოვრობს დაახლოებით 3. 100. ათასი სული. აქედან ბათუმის გუბერნია, დაახლოებით 7 000 ოთხკუთხა კილომეტრი 200. ათასი მცხოვრებლით დაჭერილი აქვს სრულიად უკანონოდ ოსმალეთის ჯარს, რომელიც თანახმად პრეზიდენტ ვილსონის პროგრამისა, დაუყოვნებლივ გაყვანილ უნდა იქნას იქედან... როცა ოსმალეთი გაიყვანს თავის ჯარებს ყოფილ ყარსის გუბერნიიდანაც, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა გაიყოს

შუაზე და აქედან დასავლეთი ნახევარი (არტაანის და ოლთისის ოლქები) უნდა შეუერთდეს ეთნოგრაფიულად და ისტორიულად მონათესავე საქართველოს, ხოლო მეორე აღმოსავლეთი ნახევარი (ყარსის და ყაღიზმანის ოლქები) უნდა შეუერთდეს სომხეთს". [17]

1982 წლის 7 ნოემბერს მიღებული იქნა თურქეთის რესპუბლიკის კოსტიტუცია, რომლის პირველი თავის III პარაგრაფის, მესამე მუხლით, თურქეთის სახელმწიფო, თავისი ტერიტორიებითა და ერით არის განუყოფელი  და მთლიანი. VI პარაგრაფის მე-6 მუხლით, სუვერენიტეტი ეძლევა ერს ყოველგვარი პირობების გარეშე. თურქმა ერმა უნდა გამოიყენოს თავისი სუვერენიტეტი შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით, როგორც ეს შეესაბამება  დადგენილ პრინციპებს, რომლებიც აღნიშნულია კონსტიტუციაში.  სუვერენიტეტის დელეგირების უფლება  არ ეძლევა არც ერთ ინდივიდუალურ პიროვნებას, ჯგუფს და აშ. არც ერთი პიროვნება ან სტრუქტურა არ გამოიყენებს სახელმწიფო უფლებას, თუ ეს არ შეესაბამება კონსტიტუციას. ტერიტორიასთან ან სახელმწიფო საზღვრის შესახებ კონსტიტუციის მუხლობრივ აღწერილობაში სხვა არაფერია აღნიშნული.

1918 წლის 24 ივლისს ოსმალეთის ხელისუფლებამ ბათუმის ოლქში რეფერენდუმი ჩაატარა. ამის საფუძველზე 1918 წლის 15 აგვისტოს გამოვიდა სულთან მურად VI-ის ბრძანებულება ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქების ოსმალეთის სახელმწიფოსთან უნდა მიერთებოდა.  ამავე წლისს 15 სექტემბერს თურქეთის ჯარებმა ბაქო დაიკავეს. შედეგად საბჭოთა რუსეთის მთავრობამ პროტესტის ნიშნად გააუქმა ბრესტის ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებს შეეხებოდა. ამის თაობაზე საბჭოთა რუსეთის საპროტესტო ნოტაში საგანგებოდ იყო აღნიშნული ოსმალეთის მიერ ჩატარებული რეფერენდუმის უკანონობა, ნოემბერში კი საბჭოთა რუსეთის მთავრობამ  საპასუხოდ, მთლიანად მოახდინა ბრესტის საზავო

[17] მანანა სანაძე,  თამაზ ბერაძე. საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზოლის 550 წლიანი ისტორია. გვ 648. ნანახია 10.06.2019. https://ortakfikir.com/webstore/160220180723429.pdf

ხელშეკრულების დენონსირება. 1918 წლის ნოემბერში ოსმალეთი I მსოფლიო ომში დამარცხდა და ხელი მოაწერა მუდროსის დაზავებას, რომლის ძალით ომის დროს დაკავებული ტერიტორიიდან ჯარები უნდა გაეყვანა. ბათუმის და ყარსის ოლქებში ოსმალეთის ჯარი თავდაპირველად ინგლისის ჯარმა შეცვალა. ინგლისის ჯარების გაყვანის შემდეგ, ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარები შევიდნენ. 1920 წლის დასასრულისათვის საქართველოს საზღვრებში ბათუმი, ართვინი, არტაანი (არდაჰანი), კოლა (გელე) და ოლთისი შედიოდა. ასე, რომ საქართველომ ბერლინის ტრაქტატით რუსეთის მიერ დაკავებული ტერიტორია თითქმის მთლიანად დაიკავა. მალე ვითარება შეიცვალა.

1920 წლის აპრილში ანკარაში ქემალ ფაშას (ათა თურქი) მეთაურობით საფუძველი ჩაეყარა ახალ თურქულ სახელმწიფოს. თურქეთის სახელმწიფო საზღვრების შესახებ ახალი მთავრობა 1920 წლის 28 იანვარს პარლამენტის მიერ მიღებული "ეროვნული აღთქმით" ხელმძღვანელობდა. ამ "აღთქმის" მე-2 მუხლის მიხედვით, ახალი თურქეთი ძველი ბათუმის და ყარსის ოლქებზე ხელახლა პრეტენზიას აცხადებდა: რაც შეეხება სამი სანჯაყის, ყარსის, არდაჰანის და ბათუმის ბედს, რომლის მოსახლეობამ თავის განთავისუფლების დღიდან საზეიმო კენჭისყრით დაამტკიცა თავისი ნებისყოფა დაუბრუნდეს სამშობლოს, ამ პაქტის ხელმომწერნი, თუ საჭიროა, დაუშვებენ, რომ ხელმეორედ მოხდეს პლებისციტი, თავისუფლად გამოთქმული. საქართველოს ტერიტორიისადმი ასეთი პრეტენზიის მიუხედავად, 1921 წლის 8 თებერვალს თურქეთის ახალმა მთავრობამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სამეზობლო, პოლიტიკური ურთიერთობები დაამყარა, რითაც ფაქტიურად სცნო მისი საზღვრები. 1921 წლის 11-12 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის ჯარები გამოჩნდენე, რის შედეგადაც  დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი, რაც საბოლოოდ საქართველოს ფაქტობრივი ანექსიითა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებით დასრულდა.

1921 წლის 23 თებერვალს რუსეთ-საქართველოს ომში, რუსეთის მხარეზე თურქეთიც ჩაება, რომელმაც თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე შემოიყვანა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1921 წლის 17 მარტს საქართველო დატოვა. 16 მარტს, ერთი დღით ადრე, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ კანონიერი მთავრობა იმყოფებოდა, რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც თურქეთ-საქართველოს ახალი საზღვარი დაადგინა. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის ბოლო აბზაცში ვკითხულობთ: "თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი განისაზღვრება ხაზით, რომელიც შავიზღვისპირა სოფელი სარფიდან დაწყებული გადის ხედისმთის მთაზე, შავშეთის მთისა და კანანდაღის მთის წყალგამყოფ ხაზზე, შემდეგ მიემართება არდაჰანისა და ყარსის სანჯაყების ჩრდილოეთ ადმინისტრაციულ საზღვარს – არფა-ჩაის და არაქსის ტალვეგზე, მდინარე ყარა-სუს შესართავამდე".[18]

ხელშეკრულების მეორე მუხლში ნათქვამი იყო, რომ „თურქეთი თანახმაა დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი ბათუმის პორტზე და ქალაქსა და ტერიტორიაზე, უტოვებს ბათუმის ოლქის ნაწილს შემდეგი პირობით, რომ აქ განხილული ტერიტორიის მოსახლეობა ისარგებლებს ადმინისტრაციული თვალსაზრისით ფართო ადგილობრივი ავტონომიით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურულ და რელიგიურ უფლებებს და მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა მიიღოს კანონი, რომელიც შეესაბამება მის მოთხოვნებს. თურქეთს უზრუნველყოფილი ექნება ყოველგვარი საქონლის თავისუფალი ტრანზიტი, რომელიც იგზავნება თურქეთში ან კიდევ თურქეთიდან".[19] თურქეთს უფლება ენიჭება ბათუმის ნავსადგურით ისარგებლოს უბაჟოდ, ყოველგვარი შეფერხების და მოსაკრებლების გარეშე." საბჭოთა რუსეთის მხრივ ანექსიის მიუხედავად, ამიერკავკასიის ქვეყნები - აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო ერთხანს

[18] მანანა სანაძე, თამაზ ბერაძე. საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზოლის 550 წლიანი ისტორია. გვ 649. ნანახია 10.06.2019. https://ortakfikir.com/webstore/160220180723429.pdf
[19] იქვე გვ649

ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად რჩებოდნენ. ეს კი თურქეთსა და ამ რესპუბლიკებს შორის საგანგებო სასაზღვრო გამიჯვნას აუცილებელს ხდიდა.

## 2.2 ყარსის ხელშეკრულება და საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზოლის განსაზღვრა

1921 წლის მარტისათვის საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, თუმცა ფორმალური თვალსაზრისით სამივე ქვეყანა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ჯერჯერობით არც ამიერკავკასიის ფედერაცია  და არც საბჭოთა კავშირი შექმნილი არ იყო, მაგრამ არსებობდა გეგმა ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნისა. იმხანად გაურკვეველი იყო ახალ საბჭოთა იმპერიაში რა ფორმით შევიდოდნენ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ასეთ ვითარებაში რუსეთმა გადაწყვიტა თავისი პოზიციების განმტკიცება სამხრეთ კავკასიაში და თავის მთავარ კონკურენტთან, ოსმალეთთან, ყველა საკითხის მოგვარება. 1921 წლის 23 სექტემბერს ქალაქ ყარსში დაიწყო ოსმალეთის, საქართველოსა, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოლაპარაკება, ყარსის კონფერენციაში სრულუფლებიანი სახით მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთი.  ყარსში  დაწყებულ მოლაპარაკებას იგივე პრინციპები დაედო საფუძვლად, რაც რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის მოლაპარაკებას -  უცვლელი დარჩა ჩრდილოეთ აღმოსავლეთ საზღვარი.

ყარსის ხელშეკრულების პირველი მუხლი ძალადაკარგულად აცხადებდა ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც ამიერკავკასიას (სამხრეთ კავკასიას) ეხებოდა,  ეს არ ეხებოდა რუსეთ ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის ელშეკრულებას. მეორე მუხლში კი აღნიშნული იყო  საქართველოს სომხეთსა და აზერბაიჯანს  არ უნდა ეცნოთ არცერთი ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა ოსმალეთს, მაგრამ არ ცნეს ოსმალეთის მთავრობამ და თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ. თავის მხრივ, ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა, არ ეცნო არცერთი საერთაშორისო აქტი, თუ მას  არ ცნობდა

საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ყარსის ხელშეკრულებით განისაზღვრა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარი და აჭარაც.

მოსკოვის ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ,,ყარსის ხელშეკრულების IV მუხლში ვკითხულობთ: "თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი განისაზღვრება ხაზით, რომელიც იწყება შავიზღვისპირა სოფელ სარფთან, გაივლის მთა ხედის-მთაზე, წყალთა გამყოფი ხაზით - მთა შავშეთი – მთა კანნი-დაღი, შემდეგ იგი მოჰყვება არტაანისა და ყარსის ოლქების წინანდელ ჩრდილოადმინისტრაციულ საზღვარს მდინარე არფა ჩაისა და არაქსის ტალვეგზე ქვემო ყარა-სუს შესართავამდე". ხელშეკრულების მე-6-ე მუხლში აღნიშნულია: "ოსმალეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი ბათუმის პორტზე და ქალაქზე და იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ამ ხელშეკრულების IV მუხლში ნაჩვენები საზღვრის ჩრდილოეთით და, რომელიც შედიოდა ბათუმის ოლქში იმ პირობით, რომ: 1) მოსახლეობა ამ ადგილებისა, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლში, ისარგებლებს ადმინისტრაციული თვალსაზრისით ფართო ადგილობრივი ავტონომიით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურულ და რელიგიურ უფლებებს და მოსახლეობას მიეცემა საშუალება შეიმუშავოს და მიიღოს ისეთი საადგილ-მამულო კანონი, რომელიც შეესაბამება მის სურვილებს. 2. ოსმალეთს უზრუნველყოფილი ექნება ბათუმის ნავსადგურის გავლით ოსმალეთში ან კიდევ ოსმალეთიდან ყოველგვარი საქონლის თავისუფალი, უბაჟო და სხვადასხვა გადასახადებით დაუბეგრავი ტრანზიტი. ოსმალეთს უფლება ენიჭება ისარგებლოს ბათუმის ნავსადგურით სპეციალური ხარჯების გადაუხდელად." [20]

1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ამიერკავკასიის რესპუბლიკები რუსეთმა გააერთიანა ახლად შექმნილ საბჭოთა კავშირში. ამის შემდეგ 69 წლის მანძილზე საქართველო-თურქეთის საზღვარი საბჭოთა-კავშირ-თურქეთის

[20] ლევან ალექსიძე, დავით კობახიძე, ყარსის ხელშეკრულება (საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზი), ქართული დიპლომატია (წელიდწლეული), ტ. I, გვ. 245.

საერთო საზღვრის ერთ მონაკვეთად იქცა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. 1992 წლის 30 ივლისს თბილისში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას "საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ" რომლის პრეამბულაში ნათქვამია: "მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით". მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის".[21]

ამრიგად, თურქეთს, როგორც საქართველოს ისტორიულად სტრატეგიული-პოლიტიკური მოკავშირეს, არაერთხე ჰქონია მცდელობა იმ ტერიტორიების მითვისებისა და მიტაცების, რომელსაც დღევანდელი აჭარა წარმოადგენს.

რაც შეეხება თვითონ ,,ყარსის ხელშეკრულებას", პრორუსული ხასიათის მატარებელი ორგანიზაციები ასახელებენ, რომ ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 100 წლის თავზე ,,ვადა გასდის" ხელშეკრულებას. თუმცა გაურკვეველია, 2021 წელი რატომ სახელდება ხელშეკრულების გაუქმების თარიღად, რადგან ,,ყარსის ხელშეკრულებაში" ვადებთან დაკავშირებით არავითარი დათქმა ან ცანაწერი არ მოიძებნება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელშეკრულების ცალხრივად გაუქმება შეუძლებელია, რადგან საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთი მხარის სტატუსით სარგებლობენ და გაუქმების შემთხვევაში სამივე ქვეყნის თანხმობაა საჭირო. აქვე უნდა ითქვას, სომხეთი ყარსის დებულებას საზღვრების ნაწილტან მიმართებით არ აღიარებს. 1992 წელს თურქეთთან ყარსის ხელშეკრულებაზე უარი განაცხადა. თუმცა, აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანია ნახჭევანის კუთვნილების გამო. ასევე არ არსებობს რაიმე დათქმა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში თურქეთს უფლება აქვს, აჭარა მიიერთოს. პირიქით ყარსის

[21] ლევან ალექსიძე, დავით კობახიძე, ყარსის ხელშეკრულება (საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზი), ქართული დიპლომატია (წელიწდეული), ტ. I, გვ. 238

ხელშეკრულებით, თურქეთმა საქართველოს სუვერენიტეტი აღიარა აჭარაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ აღიარა საქართველოს სრული იურისდიქცია, რომელიც ასევე ვრცელდება ათუმსა და მის ოლქზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრა საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით.

## 2.3 საქართველო -თურქეთის სახელმწიფო საზღვრის განლაგება დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში

საქართველომ 1921 წელს დაგარგული დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის დეკემბერში მოახერხა, მას შემდეგ რაც, საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა. საბჭოთა კავშირში მეზობელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის საზღვრები ადმინისტრაციულ საზღვრებად ითვლებოდა და გადაადგილება მეზობელ სახელმწიფოებში შესაძლებელი იყო ყოველგვარი სასაზღვო შემოწმების გარეშე. ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადასვლაზე მხოლოდ ავტოინსპექციის თეთრი და ლურჯი ჯიხურები და საგზაო აბრები მიუთითებდა. განსხვავებული მდგომარეობა იყო საქართველო-თურქეთის საზღვრის მონაკვეთზე. თურქეთი საბჭოთა კავშირსა და ნატოს წევრ ქვეყანას შორის გარე საზღვრის ფუნქციას ასრულებდა და სათანადოდ იყო დელიმიტირებული და დემარკირებული. 1998 წელს რუსეთის სასაზღვრო ჯარებმა დატოვეს საქართველო და ახლად ფორმირებულმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ შეუდგა საზღვრების დაცვას. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 21 წლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 2148 კილომეტრიდან, მხოლოდ ნაწილი - 13%, რაც იმას ნიშნავს რომ მხოლოდ 275 კილომეტრია დელიმიტირებული და დემარკირებული.

კანონი საზღვრების დაცვასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ არსებობდა. მოგვიანებით 1998 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“. ამ კანონის მიღების დაგვიანების ერთ-ერთი მიზეზი იყო თვით კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი- სახელმწიფო საზღვრის დაცვა საქართველოს ხმელეთზე, ტერიტორიულ და შიდა წყლებში აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე არსებულ საერთაშორისო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ევალება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებს, ხოლო საჰაერო სივრცეში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო თავდაცვის ძალებს. ეს მუხლი მთლიანად გამორიცხავდა უცხო ქვეყნის სამხედრო ფორმირებათა, ამ შემთხვევაში კი რუსეთის ფედერაციის ფედერალური სასაზღვრო დანაყოფთა საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნას. უცხო ქვეყნების სამხედრო შენაერთების გაყვანის პროცესი რათქმაუნდა დაჩქარდა. კანონი ,,საქართვეოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ გამოქვეყნებისთანავე შევიდა ძალაში. მისი 1-ლი მუხლით საქართველოს სახელმწიფო საზღვარი შედგება ყოფილი სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრისა და ყოფილი სსრკ-ის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სახელმწიფო საზღვრისაგან, რომელიც განსაზღვრავდა ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო საზრვარს საქართველოს ნაწილში. კანონით განისაზღვრა საქართველოს შიდა წყლები, მისი მიმდებარე ზონა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი. სახელმწიფოს კანონდმებლობა სახელმწიფო საზღვრის შესახებ სასაზღვრო პოლიტიკა საზღვრის დადგენა და აღნიშნვა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი, საზღვრის დაცვა და პასუხიმგებლობა საქართველოს საზღვრის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის. [22] კავკასიის რეგიონში მხოლოდ რუსეთმა და აზერბაიჯანმა შეძლო საზღვრების ოფიციალურად გაფორმება. ხოლო საქართველომ ვერც ერთ მის მეზობელთან ვერ მიაღწია შეთანხმებას სახელმწიფო საზღვრის

[22] მანანა ხვედელიძე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები (XX საუკუნე), თბილისი 2000. გვ. 129.

კუთვნილებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისია ჯერ კიდევ 1993-94 წლებში იწყებს მუშაობას.

1992 წლის ივლისში, საქართველომ და თურქეთმა საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით სახმელეთო საზღვარი დაადასტურეს. თბილისში ხელმოწერილ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ "მხარეები დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული ყარსის შეთანხმებით. მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდება საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის"[23] ორ ქვეყანას შორის საზღვაო საზღვარი ოფიციალურად იქნა შეთანხმებული 1997 წლის ივლისში საქართველოსა და თურქეთის მთავრობების მიერ ხელმოწერილი ოქმის საფუძველზე. ოქმის მიხედვით მხარეებმა აღიარეს სსრკ-თურქეთის საზღვაო საზღვარი ტერიტორიული წყლების შესახებ 1973 წლის ხელშეკრულების, 1978 წლის კონტინენტური შელფის და 1980 წლის საზღვრის დემარკაციის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად. ამრიგად, საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი საბოლოოდ დამტკიცდა, თუმცა დანარჩენ მეზობლებთან საზღვრის დადგენა ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად გვევლინება.[24]

საქართველო-თურქეთის გეოპოლიტიკური ურთიერთობები ყოველდღიურად აქტიურად ვითარდება. უსაფრთხოების თვალსაზრისით თუ შევხედავთ საკმაოდ მომგებიანია საქართველოსთვის. თურქეთი ყველა დონის უსაფრთხოების საკითხში იქნება ეს ინდივიდუალური, რეგიონალური თუ საერთაშორისო, მთავარი მოთამაშეა, ამის ნათელი მაგალითია თურქეთის მხრიდან ბოლო დროს აზერბაიჯანსა და

[23] მანანა ხვედელიძე საქართველოს სახელმწიფო საზღვარი კონსტიტუციებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში, თბილისი, 1999. გვ.108

[24] სამხარაძე ნ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი -წარსული და აწმყო, 2012წ. გვ.21. ნანახია 30.05.2019
http://css.ge/files/Papers/Nika_Samkharadze,Georgian_State_Border_%E2%80%93_Past_and_Present,_Sept._2012_Geo.pdf

საქართველოსთან თავდაცვის საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობა და თურქეთ - უკრაინის შეთანხმება სამხედრო თანამშრომლობაზე.[25]

ამრიგად, საქართველო-თურქეთის სახელმწიფოებრივი ურთიერთობა წარმოადგენს საქართველოსთვის მნიშვნელოვან ბერკეტს, კავკასიის რეგიონში სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის საკითხში. თურქეთი, როგორც უმსხვილესი ბაზრის მქონე ქვეყანა აქტიურ პოლიტიკას ატარებს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცებთან დაკავშირებით. ფაქტიურად კავკასიის რეგიონში ორი წამყვანი სახელმწიფოს რუსეთისა და თურქეთის სათამაშო მოედანს წარმოვადგენთ და შესაბამისად ძლიერი დასაყრდენის არსებობა ამიერკავკასიის რეგიონში ორივე სახელმწიფოს ინტერესებს შეესაბამება.

# III თავი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის ისტორიულ-გეოპოლიტიკური ანალიზი

## 3.1რუსეთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა

რუსეთის საბჭოთა ფედერაციიული რესპუბლიკა პირელი ქვეყანა იყო, რომელმაც ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და შესაბამისად 1920 წლის 7 მაისს ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის მესამე მე-3 მუხლის მიხედვით სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავიზღვიდან მდინარე ფსოუს გასწვრივ

[25] მარიამ გრიგალაშვილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებ, ინტერმარიუმი და თურქეთის საგარეო პოლიტიკა 2016 წ. გვ.3, ნანახია. 25.05.2019. http://gip.ge/wp-content/uploads/2016/07/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98.pdf

ახახჩის მთამდე, გადადის ახახჩისა და აგანეტის მთამდე და მიდის ყოფილი შავიზღვისპირეთის, ქუთაისასა და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვრით ზაქათალის ოლქამდე, აქედან კი ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთი საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრამდე. მე-4 მუხლით კი რუსეთმა ვალდებულება იკისრა, რომ საქართველოს უდავო ნშემადგენელ ნაწილებად აღიაროს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ყველა მაზრა და ოლქი, აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქები, გარდა შავიზღვისპირეთის გუბერნიის ნაწილებისა, რომლებიჩ საქართველოს საზღვრებში გადადის პირველი და მესამე მუხლების ძალით. რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულების დამატებით შეთანხმების 1-ლი მუხლის თანახმად საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრების და ზაქათალასოლქის სადავო ნაწილების საკითხი გადასაწყვეტად გადაეცა შერეულ კომისიას. ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული არ ყოფილა.

ამრიგად, 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით რუსეთ-საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განმტკიცდა საქართველოს სტატუსი საერთაშორისო მასშტაბით და გაზარდა მისი დამოუკიდებლობისადმი მსოფლიოს სახელმწიფოთა ნდობა.

სამწუხაროდ ეს დოკუმენტი აღმოჩნდა უკანასკნელი შეთანხმება სასაზღვრო საკითხებზე, რომელიც საქართველოსა და ჩრდილოეთ მეზობელ - რუსეთს შორის დაიდო სასაზღვრო საკითხებზე. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წითელ არმიასთან ბრძოლაში დამარცხდა და თბილისში დამყარდა საბჭოთ წყობილება. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სტატუსი შეეცვალა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (სსსრ) გადაიქცა. დამოუკიდებლობის აღდგენიდან საქართველო-რუსეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის საზრვრის დიდი მონაკვეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ უკვე შეტანხმებული იყო, მაგრამ უღელტეხილებისა და ნეიტრალური ზონების საკითხი, რაც კომისიას

1921 წელს ერთობლივად უნდა გადაეწყვიტა, ასევე სასაზღვრო ხელშეკრულებების დადება სომხეთთან და თურქეთთან, საქართველოს სსრ-ის ახალი ბოლშევიკური მმართველობის ორგანოს -რევოლუციური კომიტეტის კომპეტენცია გახდა.

კონსტიტუციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით, რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტი ვრცელდება მთელს მის ტერიტორიაზე. მე- 3 პუნქტით, რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს თავის ტერიტორიის მთლიანობას და ხელშეუხებლობას. 65-ე მუხლით განსაზღვრულია რუსეთის ფედერაციის შემადგენლობა რუსეთის ფედერაციის სუბიქეტების სახით. 67-ე მუხლით განსაზღვრულია მისი სუბიექტების ტერიტორიის ჩათვლით, შიდა წყლები, ტერიტორიული ზღვა და მათ თავზე არსებული საჰაერო სივრცე. სუბიექტების ტერიტორიების საზღვრები არ შეიძლება შეიცვალოს მათი თანხმობის გარეშე. 72-ე მუხლის ნ) პუნქტით რუსეთის ფედერაციის გამგებლობაში შედის რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის, ტერიტორიული ზღვის, საჰაერო სივრცის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის და კონტინენტური შელფის სტატუსის განსაზღვრა და დაცვა. კონსტიტუცია მიღებულია 1993 წლის 12 დეკემბერს სახალხო არჩევნობით.

1998 წლის 3 ნოემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას ,,საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტისათვის რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტისათვის რუსეთის ფედერაციის ფედერალურ სასაზღვრო სამსახურის მიერ დაცულ სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ნაწილებისა და ქვედანაყოფების სარგებლობაში მყოფი რუსეთის ფედერაციის მოძრავი ქონების გაყოფის წესის ვადების შესახებ“, ამ შეტანხმების თანახმად მიღწეული მოთხოვნებიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა განხორციელდა საქართველოს სასაზღვრო ძალების მეშვეობით. ამით დასრულდა უცხო სახელმწიფოს სამხედრო

დანაყოფების გამოყენებას სახელმწიფო საზღვრის დაცვისას და რუსეთის ედერალურმა სასაზღვრო ჯარებმა საბოლოოდ დატოვეს საქართველოს ტერიტორია, 1998 წლის 3 ნოემბერსვე გაფორმდა შეთანხმება ,,საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და და რუსეთის ფედერაციის  მთავრობას შორის სასაზღვრო საკითხებში თანამშრომლობის შესახებ". ასეთი ხელშეკრულებები საქართველოს მთავრობას გაფორმებული აქვს თურქეთთან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან ბულგარეთთან, არ არის მხოლოდ სასაზღვრო სფეროში გაფორმებული თანამშრომლობა გაფორმებული სომხეთთან.  აღსანიშნავია, ისიც რომ რუსეთთან აზერბაიჯანთან სომხეთთან ხელმოწერილია შეთანხმებები სახელმწიფოთა შორის უვიზო გადაადგილების შესახებ, უვიზო გადაადგილება ხორციელდება აგრეთვე დამოუკიდებელი თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე.ხელმოწერილია შეთანხმებები საბაჟო და სასაზღვრო გამტარი პუნქტების გახსნის, რეჟიმის დაწესების შესახებ და სხვა.[26]

XX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს სამართლებრივად დადგენილი და გაფორმებული სახელმწიფო საზღვარი, როგორც სახმელეთო ასევე საზღვაო აქვს მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკასთან. ამ მონაკვეთზე დემარკაცია ჩატარებულია, მაგრამ მოითხოვს რედემარკაციას , ხოლო რაც შეეხებასაქართველო -რუსეთის ფედერაციის, საქართველო აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარს, სახელმწიფოთა დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიების მუშაობა მიმდინარეობს ოქმების, შეთანხმების დონეზე.

## 3.2 აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტის გავლენა საქართველოს საზღვრის ცვლელიბის საკითხში

[26] მანანა ხვედელიძე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები (XX საუკუნე), თბილისი 2000. გვ. 135.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად საქართველოში აფხაზეთსა და ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთში“ (ცხინვალის რეგიონში) 1990-იანი წლების დასაწყისში გაჩაღებული პოლიტიკური კონფლიქტები ღია შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

საბჭოთა კავშირის დროს ქართული და აფხაზური პოლიტიკური ელიტების სასტატუსო მეტოქეობა ეთნიკურ არგუმენტებს უკავშირდებოდა: თუ როგორ უნდა მოწყობილიყო ავტონომიური ხელისუფლება, როგორ უნდა განაწილებულიყო პრესტიჟული თანანმდებობები, როგორ უნდა ყოფილიყო პრიორიტეტები რესპუბლიკის კულტურისა და საგანმანათლებლო სფეროებსი. მხარეებს შორის კონფლიქტის დაწყების წინ სამობილიზაციო რესურსი სწორედ ეთნიკურობა გახდა. ზემოთ ჩამოთვლილმა უთანხმოებამ ქართველები და აფხაზები 1992 წლის აგვისტოში შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანა.აფხაზეთის გაკონტროლებამ ქართული შეიარაღებული ფორმირებების მიერ (რეგულარული არმია მხოლოდ ყალიბდებოდა), რასაცადგილობრივ აფხაზთა შეიარაღებულ ჯგუფებთან სამხედრო კონფლიქტი და შესაბამისად ცოცხალი ძალის დიდი მსხვერპლი მოჰყვა, აფხაზ-ქართველთა შორის დიდი უფსკრული გააჩინა. ომმა კიდევ ერთი დრამატული შედეგი გამოიღო 1993 წლის სექტემბერში, ქართული შეიარაღებული ძალების დამარცხების შედეგად, აფხაზეთი თითქმის 300 ათასმა ქართველმა დატოვა, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ, დევნილ მოსახლეობად იქცნენ.

აფხაზეთში საომარი მოქმედებები 1993 წლის 30 სექტემბერს დასრულდა. აფხაზეთის და რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიელმა ,,მოხალისეებმა“ მთლიანად დაიკავეს მდინარე ფსოუდან ენგურამდე არსებული ტერიტორია . ფაქტობრივად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მცირე ნაწილი - კოდორის (დალის) ხეობა დარჩა. 1994 წლის აპრილიდან 2008 წლის აგვისტომდე აქ განლაგებული იყვნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით შექმნილი სამშვიდობო ძალები, რომლებიც მხოლოდ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალების ქვედანაყოფებით იყო

დაკომპლექტებული. ამ დროის მანძილზე რუსი მშვიდობისმყოფელები, გაეროს წარმომადგენლების მონიტორინგის მეშვეობით, მათზე დაკისრებულ სამშვიდობო ფუნქციას ასრულებდნენ, თუმცა დაპირისპირებულ ქართველ და აფხაზურ მხარეებს შორის უნდობლობის ბარიერი არ გამქრალა , პირიქით - ვითარება საკმაოდ დაძაბული იყო, ხშირად ხდებოდა პროვოკაციები, სროლები, ადამიანთა გატაცებები და სხვა.

რაც შეეხება კონფლიქტის მოგვარებას, სამწუხაროდ, აფხაზურ და ქართულ მხარეების პოზიციები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა.კერძოდ, ეს შეეხებოდა, როგორც აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის პოლიტიკურ სამართლებრივ სამომავლო სტატუსს, ასევე თვით კონფლიქტის მოგვარების პრიორიტეტებს, ტერიტორიის სტატუსს. დევნილების დაბრუნებასდა მათი უსაფრთხოების განსაზღვრას. აფხაზეთის მოთხოვნის თანახმად , ჯერ რესპუბლიკის სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო საერთაშორისო დონეზე და, სემდეგ, კი დევნილების დაბრუნება მოხდებოდა. ამგვარმა მოთხოვნა განპირობებული იყო აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის დომინირების აღდგენის შიშით, რაც სეპარატისტთა აზრით, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობას დაემუქრებოდა.

ქართული მხარე კი შემდეგ პოზიციას აფიქსირებდა: დევნილი მოსახლეობის მშობლიურ ადგილებში უპირობოდ დაბრუნება, სტატუსის პრობლემა კი მათი დაბრუნების პარალელურად ან მის შემდეგ განხილულიყო. თბილისი ამ პროცესის გაჭიანურებას რუშეთის მხარეს აბრალებდა. ამ დროის მანძილზე კონფლიქტის მოგვარების ბევრი პროექტი შეიქმნა, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა, მათ შორის ისიც, რომელიც საერთაშორისო შუამავლების (''გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის“ და ეუთოს) მიერ იქნა შემუშავებული - ე.წ. დიტერ ბოდენი პროექტი. ეუთოს წარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული პროექტი კომპრომიისული იყო და შემდეგ ჩარჩო მახასიათებლებს შეიცავდა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება 1989 წლის მდგომარეობით, აფხაზეთის აღიარება სუვერენულ სუბიექტად საქართველოს შემადგენლობაში,

განსაკუთრებული სტატუსით, რომელიც ფედერალურ შეთანხმებაზე იქნებოდა დამყარებული. ამავე შეთანხმებით განისაზღვრებოდა უფლებების გამიჯვნა თბილისსა და სოხუმს შორის, ხოლო თვით შეთანხმებას საკონსტიტუციო კანონის ძალა ექნებოდა. გარდა ამისა, იყო ,,რუსული პროექტი" საერთო სახელმწიფოს შესახებ", კონფედერაციული პროექტი და აშ. რომლებმაც ვერ ჰპოვა განვითარება.

სიტუაცია დროთა განმავლობაში შეურიგებელ ხასიათს იძლეოდა, დაპირისპირებულმა მხარეებმა გეოპოლიტიკური ვექტორების სხვადასხვა მიმართულებები აირჩიეს აფხაზებმა ქართული სახელმწიფოსგან დისტანცირებისათვის დასახმარებლად რუსეთს მიმართეს და მასთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას შეეცადნენ.თავის მხრივ რუსეთმა აფხაზეთში „პასპორტიზაცია" განახორციელა და რუსეთის მოქალაქეებად გადაქცეული აფხაზები უვიზო რეჟიმით უზრუნველყო. მაშინ, როცა მოსკოვმა საქართველოსთან 2001 წელს მკაცრი სავიზო რეჟიმი შემოიღო. საქართველო არ შეგუებია აღნიშნულს და თბილისმა ნატოსა და ევროკავშირისკენ ინტეგრაციისაკენ გზა აირჩია იმ იმედით, რომ რუსეთის პოზიციები დასუსტდებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, აფხაზებს იძულებით მშვიდობის დამყარებაზე დაითანხმებდნენ და დევნილები მშობლიურ ადგილებში დაბრუნდებოდნენ.[27]

რაც შეეხება კონფლიქტს ცხინვალის რეგიონში - პირველი ე.წ. ქართულ - ოსური კონფლიქტი 1918-20 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ოსების მიერ მოწყობილ აჯანყებებს უკავშირდება. მაშინ, როცა ახალგაზრდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა სახელმწიფოებრივი სტრუქტურის განმტკიცებას ცდილობდა, ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ -ფედერაციულ რესპუბლიკასთან მიერთებას მოითხოვდა. 1918 წლის აჯანყება შედარებით ნაკლები

[27] კვიციანი ჯ. კავკასია და კავკასიელები. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2010. გვ.52

დანახარჯებით იქნა ჩახშობილი. განსაკუთრებით ძლიერი და საშიში იყო 1920 წლის აჯანყება, რომლის დროსაც ბოლშევიკებმა ცხინვალში რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) შექმნეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ნოე ჟორდანიას მთავრობამ ოს გლეხობას ბრალი ბოლშევიკებთან თანამშრომლობაში დასდო და 1920 წლის ივნის-ივლისში სადამსჯელო ოპერაციები ჩაატარა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წლის აპრილში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელსაც შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილი ეკავა. ეს ტერიტორიულ -ადმინისტრაციული ერთეული ბოლშევიკებმა სრულიად ხელოვნურად ჩამოაყალიბეს, ქართული სოფლების მოსახლეობის მის შემადგენლობაში შეყვანით.

ქართულ ოსური დაპირისპირბის მეორე პერიოდი იწყება საბჭოთა კავშირის არსებპობის მიწურულს , 1989-90 წლებში. 1988 წელს შეიქმნა ოსური ორგანიზაცია “ადამონნიხასი“ - ერონული ფრონტი, რომლის ინიციატივით ცხინვალში ანტიქარტული გამოსვლები დაიწყო. „ადამონ ნიხასის“ წაქეზებით , 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატის საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს თხოვნით მიმართა ოლქისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების შესახებ. ამ ფაქტმა საქართველოს ხელისუფლების მწვავე რეაქცია გამოიწვია. 1989 წლის 23 ნოემბერს ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ ობილიზებული 15 ათასი ქართველი ცხინვალისაკენ დაიძრა. ქალაქის მისადგომებთან მათ გზა გადაუღობეს ოსმა შეიარაღებულმა პირებმა და ცხინვალში დისლოცირებულმა საბჭოთა არმიის ქვედანაყოფების ჯარისკაცებმა. მოხდა სისხლიანი შეტაკკება.

1989 წლის 20 სექტემბერს , ,,სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის დეპუტატთა საბჭომ მიიღო დადგენილება ოლქის ,,სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ. ეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭოს პრეზიდიუმმა 21 სექტემბერს გააუქმა.

ამის მიუხედავად, ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიამ ძალში დატოვა თავის გადაწყვეტილება, აირჩია ე. წ. ,, სამხრეთ ოსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი“ და მიიღო დროებითი დებულება უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 2 დეკემბერს. ამის საპასუხოდ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 22 ნოემბერს მიიღო დადგენილება ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმავე ხანებში საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ოსებმა ბოიკოტი გამოუცხადეს და 9 დეკემბერს საკუთარი საპარლამენტო არჩევნები ჩაატრეს.

,,დადგენილებათა ომმა“ კულმინაციას 1990 წლის 11 დეკემბერს მიაღწია საქართველოს ახლადარჩეულაუზენაესმა საბჭო, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობიტ, არამარტო გააუქმა სამხრეთ ოსეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები, არამედ თვით ავტონომიური ოლქიც და მისი ტერიტორია სხვადასხვა რაიონებს შორის გადაანაწილა. რეგიონში შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა.

კონფლიქტის შეიარაღებული ფაზა დაიწყო 1991 წლის იანვარში როდესაც ცხინვალში რამდენიმე ათასიანი ქართული პოლიცია და ნახევრად გასამხედროებული მოლაშქრეები იქნენ შეყრილნი. ქუჩის ეპიზოდური ბრძოლები რამდენიმე თვე გრძელდებოდა, რომელშიც რუსული ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ.

1992 წლის დასაწყისში საქართველოში ინსპირირებული სამოქალაქო ომი დაიწყო, რამაც, თავის მხრივ, ძლიერ დაასუსტა ცენტრალური ხელისუფლება და ამით ხელი შეუწყო ოსური სეპარატიზმის გაგრძელებას. საბოლოოს კონფლიქტის შეიარაღებული ფაზა 1992 წლის წლის 24 ივნისს სოჭში რუსეთ-საქართველოს შორის ხელმოწერილი შეთანხმებით დასრულდა. ესდოკუმენტი ცეცხლის შეწყვეტასა და კონფლიქტის მოგვარებას ითვალისწინებდა. სამშვიდობო პროცესის განვითარების მიზნით, ჩამოყალიბდა შერეული საკონტროლო კომისია საქართველოს, რუსეთის,

სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით. რეგიონში შემოყვანილ იქნა ასევე რუსული სამშვიდობო ძალებიც.

სხვათა შორის, ამ კომისიას საქმიანობა ეფექტური გამოდგა. 2004 წლისათვის ცხინვალის რეგიონში წინაპერიოდში არსებული ეთნოსაერთაშორისო დაძაბულობა თითქმის დამცხრალი იყო. აღდგენილი იყო საავტომობილო მოძრაობა ცხინვალის, გორისა და თბილისს შორის, აქტიურად ფუნქციონირებდა მსხვილი სასაქონლო ბაზრობა სოფელ ერგნეთში, რომლითაც ოსებიც და ქართველებით წარმატებით სარგებლობდენენ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ერგნეთის ბაზრობა არარეგალურ ხასიათს ატარებდა და, მარაგდებოდა კონტრაბანდით, შემოსული და გაყიდული საქონლის არ ხდებოდა და საქართველოს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად ზარალდებოდა. კონფლიქტის საბოლოო დარეგულირებას ხელი შეუშალა რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონში ჩატარებულმა ,,პასპორტიზაციამ", რომლის შემდეგ ოსი მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა რუსეთის მოქალაქე გახდა. ისევე, როგორც აფხაზეთთან მიმართებით, 2001 წელს რუსეთის მიერ საქართველოსთან შემოღებული სავიზო რეჟიმი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაზე არ ვრცელდებოდა, ისინი როკის საავტომობილო გვირაბის მეშვეობით რუსეთში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიემგზავრებოდნენ. ამრიგად, საერთაშორისოდ აღიარებილი საქართველოს საზღვრებისა და ტერიტორიების შემადგენლობაში არსებული „სამხრეთ ოსეთი" ფაქტობრივად რუსეთის პროტექტორატად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ დაძაბულობის დონე შესამჩნევად იყო დაწეული, კონფლიქტის მხარეების პოზიცია რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით კომპრომისული მოდელისაგანმაინც შორს იყო. საქართველოს ხელისუფლების პოზიციის თანახმად, ცხინვალის რეგიონში არავითარი ეროვნულ-ადმინისტრაციული რეგიონი აღარ არსებობდა. ოსებს კი მიაჩნდათ, რომმათი სახელმწიფოებრიობა უკვე ფაქტია და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის არსებობას საქართველომ ანგარიში უნდა გაუწიოს. გარდა ამისა, ცხინვალელი სეპარატისტები,

იმის შიშით რომ მათ დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრებოდა, არ გამორიცხავდნენ რუსეთთან ინტეგრაციას და ეგრეთ წოდებული ,,ორი ოსეთის“ ჩრდილოეთისა და სამხრეთის გაერთიანებას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას საფრთხეს შეუქმნიდა.

ამრიგად, ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით, საქართველო 2008 წლის აგვისტომდე შექმნილ ეთნოპოლიტიკურ სიტუაციას ასახავს. საქართველო რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში მომხდარ ხუთდღიან ომში საქართველო დამარცხდა. სამწუხაროდ ომის შედეგად საქართველომ აფხაზეთისა და ცხინვალის ის რეგიონიბიც დაკარგა, რომლებსაც აკონტროლებდა, აფხაზეთში - კოდორის ხეობა, ცხინვალის რეგიონში - ახალგორის რაიონი. 2008 წლის აგვისტოშივე რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა დე -იურედ აღიარა. მოგვიანებით კი იგივე გააკეთა ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი ოკეანის კუნძულოვანმა ჯუჯა სახელმწიფო ნაურუმ. რამდენად წარმატებული აღმოჩნდება აფხაზი და ოსი სეპარატისტების მცდელობები და მისწრაფებები საერთაშორისო არენაზე ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ცხადია, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს ზიანი მიადგა და კიდევ უფრო შემცირდა იმ ,,მცოცავი ოკუპაციის“ პირობებში, რასაც ამჟამად რუსეთი ახორციელებს.

## 3.3 საქართველო - რუსეთის სასაზღვრო ზოლი ამიერკავკასიის პოლიტიკური ურთიერთობების განმსაზღვრელი ფაქტორი

1994 წლის 3 თებერვალს, სოხუმის დაცემიდან ხუთი თვის შემდეგ, რუსეთის სახელმწიფო მეთაური ბორის ელცინი ერთდღიანი ვიზით თბილისში ჩამოფრინდა რუსულ-ქართული ხელშეკრულებების ხელმოსაწერად, რომელიც ორ ქვეყანას შორის მეგობრობას, კეთილ-მეზობლობასა და თანშრომლობას შეეხებოდა. ელცინის ეს

ნაბიჯი მოსკოვის პრესამ შეაფასა როგორც რუსული პოლიტიკიოს შეცდომა და უწოდა მას „ელვისებური ვიზიტი ჩიხში“. ელცინის ვიზიტს საქართველოში წინ უსწრებდა გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს ისტორიულ მიწებზე ყველა დევნილის დაბრუნების შესახებ.

ბორის ელცინისა და ედუარდ შევარდნაძის ხელშეკრულება მეგობრობაზე, კეთილმეზობლობასა და თანამშრომლობაზე ითვალისწინებდა საქართველოში სამი რუსული სამხედრო ბაზის შექმნას და რუსი მესაზღვრეების დისლოკაციას საქართველოს- თურქეთის საზღვრის გასწვრივ. რუსეთმა პირობა დადო, დახმაება აღმოეჩინა საქართველოსთვის არმიის ორგანიზებასა და აღჭურვაში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოგვარების შემდეგ. ხელშეკრულებასთან ერთად ხელი მოეწერა 25 სამთავრობოთაშორისო დოკუმენტს, მათ შორის, ორმხრივ ეკონომიკურ შეთანხმებას, რომელსაც განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდა საქართველოსთვის, რადგან მისი ეკონომიკა სამოქალაქო ომის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში იყო.

მოსკოვის კონკრეტული ნაბიჯების მოლოდინში საქართველო 1993 წელს გახდა ,,დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის“ ორგანიზაციების წევრი, მიუერთდა დსთ-ის ჩარჩო ხელშეკრულებების კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ და ხელი მოაწერა შეთანხმებას თავის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების 25 წლის ვადით განლაგებას. სამი წლის განმავლობაში რუსეთის დუმა ბლოკავდა ჩარჩო-ხელშეკრულებების რატიფიკაციას. მაშინ შევვარდნაძემ გადაწყვიტა, კონფლიქტების მოგვარების საკითხში გაერო ჩაერთო.ვითარების გართულებასთან ერთად აფხაზეთსა და და დანარჩენ საქართველოში სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ სივრცეში ახალ-ახალი მოთამაშეები გაჩნდნენ გაერო, აშშ ევროკავშირი და ნატო. რუსეთი ერთპიროვნულად ვეღარ აკონტროლებდა რეგიონში სიტუაციას.

საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში შუამავლის-მშვიდობისმყოფელის როლი ერგო რუსეთს, პროცესში ჩაერთვნენ ევროკავშირი,

გაერო, და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, მაგრამ სიტუაცია რეგიონში უარესდებოდა. რადგან კრემლმა აქტიურად დაიწყო მოქმედება თავისი პოზიციების გასამყარებლად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

2000-იანი წლების დასაწყისში რუსებმა მასობრივად დაიწყო რუსული პასპორტების გაცემა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებზე. 2003 წლისთვის სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა 56 პროცენტი რუსეთის მოქალაქე გახდა. პასუხად ე. შევარდნაძემ სამთავრობო კომისია საქართველოს ნატოში ინტეგრაციისთვის. რუსეთმა სამხრეთ ოსეთში გააგზავნა ახალი სამხედრო პარტია და სამხედრო ინსტრუქტორები იმ მიზნით, რომ ოსური დანაყოფები შეექმნათ ექვსი რეგულარული 500-კაციანი ბატალიონი. განმეორებით საპარლამენტო არჩევნებზე მ. სააკაშვილის მოსვლას შემდეგ, გამოითქვა ევროკავშირში შესვლის სურვილი.

2005 წელს პუტინთან სანკ-პეტერბურგში შეხვედრის შემდეგ მ. სააკაშვილმა გადაწყვიტა მკვეთრად შეეცვალა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და ევროინტეგრაციისაკენ აიღო გეზი. საქართველოს ახალი ლიდერების გამოსვლებში გაისმა ანტირუსული რიტორიკა, საპასუხოდ კი პუტინმა ხელი მოაწერა დირექტივას, რომელიც განსაზღვრავდა რუსეთის ხელისუფლების ყველა შტოს ძირითად მიმართულებებს და ამოცანებს სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ, სამხედრო და სოციალურ ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ დოკუმენტის მოქმედება მიმართული იყო სამხრეთ ოსეთში რუსული ინტერესების შესანარჩუნებლად. 2004 წლის ივნისში ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა თხოვნით მიმართა სახელმწიფო დუმას ეცნო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და მიეღო ზომები იქ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დასაცავად.

2005 წლის შემოდგომაზე NATO-ს საბჭომ დაამტკიცა ინდივიდუალური პარტნიორობის მოქმედების გეგმა საქართველოსთან(IPAP). კრემლმა მიიღო გადაწყვეტილება და შეწყვიტა საქართველოში ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ექსპორტი. ქვეყანა არმოჩნდა მკაცრი ზამთრის ტყვეობაში. დაპირისპირების

ზონაში გახშირდა სროლები, იღუპებოდნენ მშვიდობიანი მოქალაქეები, რუსეთმა შეაჩერა ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებისთვის, გამოაცხადა ემბარგო ქართული ღვინის, მინერალური წყლისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების რუსეთში შეტანაზე. რუსუთ ქართული დიპლომატიური ურთიერთობების გაცივების შემდეგ 2006 წელს რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან დაიწყეს საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაცია, მათ შორის, დედაქალაქიდანაც. 2006 წლის ნოემბერში დასაწყისისთვის სულ გამოაძევეს დაახლოებით საქართველოს 3 ათასი მოქალაქე.[28] მას შემდეგ, რას საქართველოს ხელისუფლებამ კოდორის ხეობაში შეიარაღებული ფორმირებები შეიყვანა, რუსეთმა ცალმხრივად შეაჩერა საავიაციო, საავტომობილო, საზღვაო, სარკინიგზო მიმოსვლა და საფოსტო შეტყობინება. 2006 წლის ნოემბერში ე.წ სამხრეთ ოსეთის ოსურ ნაწილში ჩატარდა რეფერენდუმი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ და ასევე საპრეზიდენტო არჩევნები. 2006 წლის ბოლოს რუსეთის სახელმწიფო დუმამ მიიღო განცხადება, რომელიც მოუწოდებდა კრემლს, ეცნო აფხაზეთსა და სახრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა გვიჩვენა, რომ დესტიბილიზაციის გამომწვევ ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური საკითხია. კავკასია გასული საუკუნეებიდან მოყოლებული, დღესაც გეოპოლიტიკური თამაშის ობიექტია. დაძაბული და არასტაბილური კავკასია, რომელსაც თავისი საკუთარი შიდა ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გააჩნია, გარეძალების ჩარევისთვის ფრიად ნოყიერ რეგიონს წარმოადგენს. სიტუაცია რთულდება იმითაც, რომ ამჟამად რუსეთისა და აშშ-ს გარდა ქართული სახელმწიფოს უშუალო მოთამაშეებად გვევლინებიან თურქეთი ირანი, სომხეთი აზერბაიჯანი და ევროკავშირი. თითოეულ მათგანს რეგიონში თავისი ინტერესები ამოძრავებს.

[28] მამუკა არეშიძე, რუსეთ საქართველოს ძირითადი მიმართულებები. თბილისი 2014. გვ12-17.

ოფიციალურმა თბილისმა 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში გადადგა რადიკალური ნაბიჯები. ამავე წლის 8 აგვისტოს ომი დაიწყო საქართველოსა და რუსეთს შორის. რუსეთმა შემოიყვანა არმია სამხრეთ ოსეთში, იმ მიზეზით, რომ უნდა დაეცვა თავისი ქვეყნის მოქალაქეების ინტერესები. სწორედ ეს ომი გახდა საბაბი რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლად ცნობისა. ორი ,,რესპუბლიკის" აღიარების შემდეგ საქართველომ გადაწყვიტა დიპლომატიური კავშირი რუსეთთან და მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ ძალა დაკარგულად ეცნო, რომ ოსი სეპარატისტების კონტროლქვეშ არსებული ცხინვალის რეგიონი სამხედრო ძალის მეშვეობით დაექვემდებარებინა და კონსტიტუციური წესრიგი აღედგინა. როგორც ცნობილია, აგვისტოს ომის დროს ცხინვალში რუსი სამშვიდობო კონტინგენტი იყო განლაგებული, ხოლო მოსახლეობას რუსული პასპორტრბი აქვს, ანუ ისინი რუსეთის მოქალაქეები" არიან. ეს ფაქტი რუსეთის ხელმძღვანელობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა ქართული არმიის ქვედანაყოფების ცხინვალზე შეტევა ''რუსეთის მოქალაქეების" უფლებების ხელსაყოფად მონათლა და საქათველოში, როკის გვირაბის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ქვედანაყოფები, მძიმე ტექნიკა და ავიაცია შემოიყვანა. მსოფლიომ დაინახა, რომ რუსეთი პოსტებს სამხრეთ კავკასიაში ასე ადვილად არ დათმობს.

ხუთდღიანმა სისხლისმღვრელმა ომმა ორივე მხარეს მნიშვნელოვანი დანაკარგი მოუტანა, განსაკუთრებით კი საქართველო: დაიღუპა და დაიჭრა ასობით სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოსახლეობა, განადგურდა მატერიალური დოვლათი, სამხედრო ქონება და შეიარაღება. რაც მთავარია, საქართველოს ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი ახალგორის რაიონზე (ცხინვალის რეგიონში) და კოდორის ხეობაზე (აფხაზეთი). მოხდა უფრო უარესი რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა იურიდიულად აღიარა, რითაც დაირღვა საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ექსპერტთა აზრით კავკასიაში შექმნილი ვითარება ,,ახალ გეოპოლიტიკურ სიტუაციას“ წარმოადგენს. სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების (პარლამენტის) ყოფილი თავჯდომარე (2006-2008 წლებში), პოლიტოლოგი ტიგრან ტორსიანი თვლის, რომ რუსეთ- საქართველოს ომის შედეგები რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამ მოვლენის ყველა მონაწილეს აკმაყოფილებს, კერძოდ, ა) საქართველო განთავისუფლდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისაგან - მათთან კონფლიქტი ხელს უშლიდა ნატოში გაწევრიანებას; ბ) რუსეთმა მიიღო აფხაზეთი და სამხრეტ ოსეთი, ამით გააკეთა განცხადება თავის ახალ როლზე საერთასორისო პროცესებში; გ) ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კავკასიაში თავის სრულფასოვნად დამკვიდრებისათვის ,,მიიღო“ ახალი საქართველო, რომელიც აღარ არის ,,გაყინული კონფლიქტებით დამძიმებული“.[29]

ქართული მხარე და მასთან ერთად საერთაშორისო თანამეგობრობა ახალ გეოპოლიტიკურ სტატუს-ქვოს არ ცნობს და მიიჩნევს, რომ თავის ტერიტორიულ მთლიანობას აღიდგენს. თუ როგორი იქნება ეს გზა ამას დრო გიჩნებეს, მაგრამ მანამდე კავკასიაში ,,მოთამაშე ძალებმა“ კომპრომისი უნდა გამონახონ და მათ მიერვე აღიარებულ ურთიერთწინააღმდეგობრივ პრინციპებს - ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვასა და ერთა თვითგამორკვევის უფლებებს შორის. სანამ ეს პრობლემა გადაიჭრება, მსოფლიოში დღეს არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (აშშ რუსეთის ურთიერთობების დათმობა), აუცილებელია რუსეთ-საქართველოს შორის გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და თანამშრომლობის განახლება. ეს საშუალებას მისცემს ქართულ მხარეს აწარმოოს პირდაპირი დიალოგი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტთა ლიდერებთან. საქართველო რუსეთის ურთიერთობების აღდგენის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება მოიხსნას რუსეთის ეჭვები თითქოსდა საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის დესტაბილიზაციას გეგმავს.

[29] ჯონი კვიციანი, კავკასია და კავკასიელები. უნივერსალი -2010. გვ. 130.

რუსეთ - საქართველოს ურთიერთობების დათმობა და, პარალელურად აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოების თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ეფექტური, თუ მოხდება შეთანხმება რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში: რუსეთი კი არ უნდა ჩამოაცილონ სატრანსპორტო -საკომუნიკაციო პროექტებს (კერძოდ, ნავთობ და გაზსადენები), არამედ აქტიურად უნდა ჩაერთონ კავკასიური დერეფნის ამოცანათა რეალიზებაში (იგულისხმება ინტეგრაცია კავკასიურ „აღმოსავლეთ დასავლეთისა“ და ‘’’ ჩრდილოეთ - სამხრეთი“ ეკონომიკურ მარშუტებში და საერთორეგიონული ინფრასტრუქტურების შექმნაში).

ერევანში 2014 წლის გაზაფხულზე ვიზიტისას ვლადიმერ პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი არ აპირებს სამხრეთ კავკასიიდან წასვლას და რჩება იქ მთავარ მოთამაშედ. თავის მხრივ, კავკასიაში დამკვიდრების სურვილი არაერთხელ გამოთქვა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. კერძოდ, მან აღნიშნა, სარკინიგზო მაგისტრალის ბაქო-თბილისი ყარსის მშენებლობის მნიშვნელობა, რომელიც დააკავშირებს თურქეთის ქალაქ იგდირსა და აზერბაიჯანულ ანკლავს-ნახიჭევანს. ეს მარშრუტი შეაერთებს ჩინეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს, სამხრეთ კავკასიას, თურქეთსა და ევროპასთან. თურქეთი ცდილობს გახდეს ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე, როგორც მცირე და ცენტრალურ აზიის ქვეყნებში, ისე სამხრეთ კავკასიაში.

იმისათვის რომ ევროპამ დაუჭიროს მხარი თურქეთის ეკონომიკურ პროექტს, აუცილებელია, ამ უკანასკნელმა მოაგვაროს პრობლემა - გახსნას საზღვარი სომხეთთა. 2009 წელს თურქეთი შეეცადა გადაედგა ნაბიჯები ამ მიმართულებით და მაშინ გაფუჭდა მისი ურთიერთობა მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან-აზერბაიჯანთან. ახლა, მხარს უჭერს რა ახალ ურთიერთობებს თეირანსა და ვაშინგტონს შორის, ანკარას მიაჩნია, რომ ამერიკელები საპასუხოდ მხარს დაუჭერენ მათ პოზიციას მთიანი ყარაბახის შესახებ. რაც შეეხება ევროპას, ევროკავშირის

ლიდერები ყოველთვის ხაზს უსვამენ თავისი ინტერესების არსებობას სამხრეთ კავკასიაში. ეს კვლავ დაადასტურა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა თავისი ვიზიტისას რეგიონში 2014 წელს.

სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო დაინტერესებულია ურთიერთობის მოგვარებით ყველა ,,მსხვილ" მოთამაშესთან ამასთან, ისინი ცდილობენ, საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ მათ შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობები. ეს როგორ გამოსდით სხვა საქმეა, მით უფრო, რომ ძირითად მოთამაშეთა შორის ბევრ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. სომხეთი ორიენტირებულია რუსეთზე, საქართველო-დასავლეთზე, აზერბაიჯანი კი ცდილობს ითამაშოს ორმაგი თამაში მიმართულია დასავლეთისკენ, მაგრამ მხარს უჭერს მჭიდრო კავშირს თურქეთთნა.

რუსეთთან დიპლომატირი, ეკონომიკური ჰუმანიტარული და სხვა ურთიერთობების გაუარესება აისახა ორ ქვეყანას შორის არსებულ საზღვრებზე. დღეისათვის შეთანხმებულია რუსულ ქართული საზღვრის გამყოფი ხაზი ყაბარდო-ბარყალეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის,ა და ინგუშეთის მონაკვეთზე, მაგრამ უფრო პრინციპული საკითხებია, რომლებიც ეხება უბნებს, სადაც განლაგებულია უმნიშვნელოვანესი ტრანსსასაზღვრო სატრანსპორტო კომუნიკაციები კვლავაც გადასაწყვეტია,. ზოგადად საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა გამწვავებულია მსოფლიოს მიერ აღიარებულ აფხაზეთისა და და სამხრეთ ოსეთის ,,დამოუკიდებელი რესპუბლიკების" არსებობით და საქართველოსა და მათ შორის საზღვრების ,,ბორდერიზაციით".

რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის ძალებით გრძელდება ეკლიანი მავთულების გაბმა ე.წ. საზღვრებზე, რომელიც ფაქტიურად საქართველოს ძირითადი ტერიტორიების სიღმეშია მოთავსებული. ამასთან, რუსეთი, ცდილობს მიუახლოვდეს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ენერგომაგისტრალებს. კერძოდ, იმ ადგილას, სადაც ენერგომაგისტრალი ბაქო-სუფსა გადის, დააყენებ სამხრეთ ოსეთის აღმნიშვნელი ბანერი.

# დასკვნა

საქართველოს დემარკაციისა და დელიმიტაციის პრობლემა არც ახალია და არც დავიწყებას მიეცემა. პირველი დამოუკიდებლობის პერიოდმა საქართველოს საზღვრის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. ახლადფორმირებულ სახელმწიფოს წინაშე საზრვრების კუთვნილებისა და უზრუნველყოფის საკითხი მნიშვნელოვან საზრუნავად იქცა. 1918-21 წლები ხასიათდება პერიოდით, რომლის დროსაც მიმდინარეობდა საზღვრების განსაზღვრის, ჩამოყალიბებისა და დაცვის აქტიური პროცესები. 1921 წლის ნოემბრის შემდეგ, მაშინ როცა გასაბჭოების პერიოდი იღებს სათავეს, საქართველოს სასაზღვრო მონაკვეთს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის დღევანდელი სახით ჩამოყალიბება განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველომ ვერ მოიპოვა მოკავშირეების მხარდაჭერა და ვერ დაიცვა სათანადო დონეზე სადავო ტერიტორიები თურქეთის სამხედრო ინტეგრაციისაგან. რაც შეეხება სამხრეთ მეზობლებთან ურთიერთობას, საქართველოს იმჟამინდელმა მთავრობამ საკუთარი ნებით, ზაქათალის ოკრუგი და ყარაიას ველი გადასცა აზერბაიჯანის რესპუბლიკას, ხოლო ლორეს სექტორი - სომხეთს დაუთმო. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ მეორედ დამოუკიდებლობა იგივე საზღვრებში აღიდგინა,რაც მას სსრკ-ში შესვლისას ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით მცირე ადმინისტრაციულ ცვლილებებს.

აზერბაიჯანისა და სომხეთის სასაზღვრო ზოლის მოგვარებასთან დაკავშირებით, მიუხედავად დღევანდელი ვითარებისა, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი დაპირისპირების კერას წარმოადგენს და შესაძლოა სამომავლოდ იქცეს სადავო ტერიტორიულ საკითხად, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური რესურსები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული და შესაძლებელია დანარჩენილ მონაკვეთებზე შეთანხმების მიღწევა მაშინ, როცა საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისია არსებობს, რომელმაც მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა 1990-იან წლებსა და ამ საუკუნის დასაწყისში გარკვეულ პროგრესსაც მიაღწია.

მწვავედ დგას საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის მონაკვეთი, უნდა აღინიშნოს რომ ისტორიის განმავლობაში ყველაზე ნაკლებად განიცდიდა ცვლილებებს, რადგან საზღვარი გადიოდა ბუნებრივ ზღუდეზე და ამის გამო საკმაოდ მკაფიოდ იყო დაფიქსირებული.

თუმცა, საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთი ამჟამად ყველაზე არასტაბილურია და რუსეთის უკანონო და გაუთვალისწინებელი რისკის ქვეშ იმყოფება. ,,მცოცავი ოკუპაცია", რომელსაც დღეს ის აწარმოებს კიდევ უფრო ხელს უწყობს საზღვრის გადმოწევასა და ტერიტორიის კუთვნილების დარღვევას, რაც კონფლიქტურ კერებს წარმოშობს. ბოლო მცდელობა ტერიტორიების წართმევის 2008 წლის აგვისტოს ომით დაამტკიცა, საქართველო-რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში მომხდარ ხუთ დღიან ომში საქართველო დამარცხდა. ომის შედეგად საქართველომ აფხაზეთისა და ცხინვალის ის რეგიონიბიც დაკარგა, რომლებსაც აკონტროლებდა, აფხაზეთში - კოდორის ხეობა, ცხინვალის რეგიონში - ახალგორის რაიონი. მოგვიანებით, რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა დე -იურედ აღიარა. იგივე გააკეთა ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი ოკეანის კუნძულოვანმა ჯუჯა სახელმწიფო ნაურუმ. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ შესაძლოა რუსეთმა გააგრძელოს დიპლომატიურ არენაზე მუშაობა, რათა გაზარდოს იმ ქვეყნების რიცხვი, ვინც აღიარებს აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობას, მიუხედავად იმისა, რომ საერთშორისო სამართლის მიხედვით, ამ დოკუმენტებს არავითარი სამართლებრივი ღირებულება არ აქვს.

რამდენად წარმატებული აღმოჩნდება აფხაზი და ოსი სეპარატისტების მცდელობები და მისწრაფებები საერთაშორისო არენაზე ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ცხადია, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს ზიანი მიადგა და კიდევ უფრო შემცირდა იმ ,,მცოცავი ოკუპაციის" პირობებში, რასაც ამჟამად რუსეთი ახორციელებს. ასეთ რთულ ვითარებაში, სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პრობლემა გადაუჭრელ საკითხად რჩება. აღნიშნული კვლევიდან გამომდინარე

შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის მოუგვარებლობა განაპირობა იმან, რომ საზღვრების კუთვნილება არ წარმოადგენდა პრიორიტეტულ ამოცანად სახელმწიფოსთვის. რადგან არც ერთ იურიდიულ დოკუმენტში არ არის  იგი მითითებული, გარდა საქართველოს საზღვრის მართვის სტრატეგიისა, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ - 2008 წელს გამოიცა.

ასევე, არ არსებობს პოლიტიკური ნება საზღვრის დემარკირება-დელიმიტაციის პრობლემის დროულად გადაჭრისა. ქართული მხარე მზად არის გამოამჟღავნოს პოლიტიკური ნება და წავიდეს გარკვეულ კომპრომისზე ტერიტორიის დაცვასთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც ჩანს ამ თემაზე კონსესუსი ჯერ კიდევ არ შემუშავებულა.

ამგვარად, საზღვრების ურღვევობის პრინციპიდან გამომდინარე იგი შორეული პერსპექტივაა და სახელმწიფოების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან სუვერენული სახელმწიფოს არსებობა მეტწილად დამოკიდებულია საზღვრის ერთიანობასა და ტერიტორიულ კუთვნილებაზე, როგორც ჟან ბოდენი თავის თეორიაში განმარტავს.

სანამ საქართველო ბასრი ბრჭყალებით დაიცავს თავის სუვერენიტეტს და საზღვრების ურღვევობა არ გახდება მთავარი ამოცანა, მანამდე ჩვენი მტრულადგანწყობილი მეზობლები თავიანთი მძლავრი აგენტურით ყველაფერს აკეთებენ, რომ ქვეყნის სტაბილურობა და ერთიანობა დაირღვეს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ავთანდილ დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი 1992

2. დ.კუხალაშვილი. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა და მისი მიზეზები.“ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია. თბილისი. 2003.

3. ვახტანგ გურული საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1918-1921). რედ. ს. ვარდოსანიძე,. თბილისი 2013

4. ვახტანგ ჭარაია, „აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა“, თბილისი 2014

5. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს საზღვრები. ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ბათუმი–კონსტანტინეპოლი, 1919

6. კეკელია ჯ.ი. საქართველოს საზღვრები ვახუშტი ბაგრატიონის შრომების მიხედვით. ვახუშტი ბაგრატიონი – გეოგრაფი, გამ. თსუ, თბილისი, 1997

7. ლ. თოიძე, ქართული დიპლომატია, ტომი I, თბილისი 1994

8. ლევან ალექსიძე, დავით კობახიძე, ყარსის ხელშეკრულება (საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზი), ქართული დიპლომატია (წელიდწლეული), ტ. I,

9. მამუკა არეშიძე, საქართველო-რუსეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობა და საფრთხეები, თბილისი 2010

10. მანანა ხვედელიძე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები (XX საუკუნე), თბილისი 2000

11. მალხაზ სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918, ბათუმი 2002

12. ნინო ვაშაყმაძე სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921, ქუთაისი 2002

13. პიერ დე სენარკლენი იოან არიფენი. საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები, მეხუთე გამოცემა თბილისი 2014

14. რევაზ თოლორდავა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ტრანსფორმაციის კარტოგრაფიული შესწავლილობა. კარტოგრაფია და თანამედროვეობა. გამ. ,,უნივერსალი", თბილისი 2005.

15. როინ მეტრეველი, კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში, თბილისი 2007.

16. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921წ.

17. საქართველო 2014 - ევროპიზაციის მოლოდინში, რედ. სოსო ცისკარიშვილი, თბილისი 2014

18. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი „საქართველოს სსრ.", თბილისი 1981

19. ჯონი კვიციანი, კავკასია და კავკასიელები, თბილისი 2010.

20. ჯანსუღ კეკელია  საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბილისი, 1996

21. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა", 1919, N118.

22. Kornely Kakachia, Michael Cecire, Gorgian foreign policy, the quest for sustainable security, Tbilisi 2013

23. . Cornell, Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and separatism in the South Caucasus – Cases in Georgia, Uppsala 2002

24. Trans-Ingur/i economic relations: a case for regulation, Volume 2, April 2015, Author: Natalia Mirimanova Researchers: Vakhtang Charaia, Lolita Zade and Irma Jgerenaia.

25. S. Cornell, Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and separatism in the South Caucasus – Cases in Georgia, Uppsala 2002

26. N. Bugai, Severnij Kavkaz 90-e gody XX vieka, Moskva 2004 23. Lija Melikiszwili, Krizis etnokulturi i bezopasnost obszestwa. Pankiskoje uszelje, Tbilisi 2003

## ინტერნეტ რესურსი:

1 სამხარაძე ნ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი -წარსული და აწმყო, 2012წ. ნანახია 30.05.2019 http://css.ge/files/Papers/Nika_Samkharadze,Georgian_State_Border_%E2%80%93_Past_and_Present,_Sept._2012_Geo.pdf

2 მარიამ გრიგალაშვილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებ, ინტერმარიუმი და თურქეთის საგარეო პოლიტიკა 2016წ. ნანახია. 25.05.2019. http://gip.ge/wp-content/uploads/2016/07/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98.pdf

3 საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დადგენა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ – ზურაბიშვილი“. 27.02.2019. ნანახია 10.06.2019.

4 https://reginfo.ge/politics/item/12779-saqartvelo-azerbaijanis-sazgvris-dadgenis-prozesi-bolomde-unda-miviybvanot-%E2%80%93-zurabishvili

5 ქშიშტოფ ლუკიანოვიჩი.საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელები და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში გეოპოლიტიკური და

ისტორიული ანალიზი. თბილისი 2015. ნანახია 10.06.2019
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/socialur_politikuri/kshishtof_lukianovich.pdf

6 მანანა სანაძე, თამაზ თამაზ ბერაძე. საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზოლის 550 წლიანი ისტორია. 10.06.2019.
https://ortakfikir.com/webstore/160220180723429.pdf